საქართველოს კანონი
კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრატორი – კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის წევრი, ან/და სხვა პირები, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვთ საბანკო საქმიანობების დაგეგმვის, მართვის ან/და კონტროლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. შესაბამისი პოზიციების ჩამონათვალს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს;

ბ) ბანკის ფილიალი – ბანკის ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი;

გ) ბანკთან დაკავშირებული პირები – ბანკის ადმინისტრატორები, აქციონერები, მათთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, ან მათთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები;

დ) ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სარგებელს და რომელსაც ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ აკისრია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის არასამეწარმეო (არაკომერციული) მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი ან მესაკუთრე იურიდიულ პირს არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი – მისი მმართველი ორგანოს წევრი;

ე) განვითარებული ქვეყნები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეტანილი ქვეყნები;

ვ) ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი – ახლონათესაურ კავშირში მყოფ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი, პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, გარდა ბანკისა, სხვა კომერციული ინტერესებით, აგრეთვე პარტნიორები (აქციონერები), რომელთა შორისაც ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ არსებობს აშკარა ან ფარული შეთანხმება, ნებისმიერი ფორმით;

ზ) კომერციული ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომ – ეროვნული ბანკი) მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;

თ) კრედიტი – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;

ი) (ამოღებულია - 20.12.2019, №5682);

კ) საბანკო საქმიანობის ლიცენზია – ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვა;

$კ^1$) (ამოღებულია);

$კ^2$) (ამოღებულია - 10.03.2017, №439);

ლ) საბანკო საქმიანობა – ამ კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული საქმიანობის სახეობები;

$ლ^1$) (ამოღებულია - 09.09.2022, №1802);

$ლ^2$) საბანკო დღე – „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბანკო დღე;

მ) საბლანკო კრედიტი – კრედიტი, რომელიც გაიცემა უზრუნველყოფის გარეშე;

ნ) სავალო ინსტრუმენტი – ნებისმიერი მიმოქცევადი სავალო საბუთის და ამ საბუთის ეკვივალენტური სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, აგრეთვე ნებისმიერი მიმოქცევადი საბუთი, რომელიც იძლევა სხვა სავალო ინსტრუმენტის შეძენის უფლებას ხელმოწერის ან გაცვლის გზით; მიმოქცევად სავალო ინსტრუმენტს შეიძლება ჰქონდეს სერტიფიკატების ან საბუღალტრო ჩანაწერების ფორმა;

ო) ტრასტი – ნდობითი ფუნქცია;

პ) უცხოური სანდო ბანკი – განვითარებული ქვეყნის ბანკი, რომელსაც აქვს კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული, გარკვეული დონის ან მასზე მაღალი რეიტინგი. ეროვნული ბანკი ადგენს კომპეტენტურ საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციათა ნუსხას და თითოეული კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიხედვით განსაზღვრავს რეიტინგის დონეს;

ჟ) ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს;

რ) ფიდუციარული ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მისი ხარჯით (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად);

მთელი რისკისათვის კლიენტი თავადაა პასუხისმგებელი, ხოლო ბანკი მიიღებს საკომისიოს;

ს) ფინანსური ინსტიტუტები – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები;

ტ) ფორფეტირება – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით; ამ ოპერაციის შესრულებისას გარანტია იმპორტიორი ქვეყნის ბანკი;

უ) (ამოღებულია - 20.12.2019, №5682);

ფ) შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) – იურიდიული პირი ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც აკონტროლებს სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია);

ფ[1]) სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ერთი ან ერთზე მეტი შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია);

ქ) საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად;

ღ) სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;

ყ) ნებადართული კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული კაპიტალი;

ყ[1]) განთავსებული კაპიტალი – სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა. განთავსებული კაპიტალი უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამის ტოლი, ხოლო თუ სამეწარმეო საზოგადოებას განთავსებული აქვს აგრეთვე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი უნდა აღემატებოდეს განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს. თუ სამეწარმეო საზოგადოებას (გარდა სააქციო საზოგადოებისა) განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით;

შ) განაღდებული კაპიტალი – განთავსებული კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;

ჩ) გადახდისუუნარო ბანკი – ბანკი, რომლის აქტივები (განურჩევლად მათი ვადიანობისა) ვეღარ ფარავს მისივე ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ჯამს, განურჩევლად მათი ვადამოსულობისა;

ც) კონტროლი – საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების/წილის 50 ან 50-ზე მეტი პროცენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობა ან/და მასთან დადებული ხელშეკრულების, მისი წესდების ან/და სხვა აქციონერებთან ან პარტნიორებთან შეთანხმების საფუძველზე, საწარმოს საქმიანობის მართვის უფლებამოსილება, რომელიც მაკონტროლებელ პირს ანიჭებს ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და მის ოდენობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, მათ შორის, ადმინისტრატორთა უმრავლესობის დანიშვნის ან გათავისუფლების უფლებამოსილებას;

ძ) მაკონტროლებელი პირი – კონტროლის განმახორციელებელი პირი;

წ) მონათესავე საწარმო – იურიდიული პირის კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოები;

ჭ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

ჭ[1]) ახლო ნათესავი – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავი;

ხ) მნიშვნელოვანი წილი – პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული კომერციული ბანკის განაღდებული კაპიტალის ან ნებადართული კაპიტალის ან/და ხმის უფლების მქონე აქციების 10 პროცენტზე მეტი წილი ან/და პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის მიერ კომერციულ ბანკზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ან/და კონტროლი, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში წილის ოდენობისა;

ხ[1]) მნიშვნელოვანი გავლენა – საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება, რომელიც არ არის ამ პოლიტიკის კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი;

ჯ) არაპირდაპირი მონაწილეობა (ფლობა) – იურიდიული პირის კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით;

ჰ) გაჯანსაღების გეგმა – კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს;

ჰ[1]) რეზოლუციის გეგმა – ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისთვის შემუშავებული გეგმა, რომელიც სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავს რეზოლუციის რეჟიმის ფარგლებში კომერციული ბანკის მიმართ სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენებასა და სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ᲖᲐ[2]) რეკაპიტალიზაცია – კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის გაზრდა;

ᲖᲐ[3]) კომერციული ბანკის აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების ჩამოწერა – კომერციული ბანკის აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების გაუქმება ან მათი ღირებულების შემცირება.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ. 125
საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1617 - სსმ I, №23 24.07.2002 წ., მუხ.108
საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონი №1938 - სსმ I, №3 17.01.2003 წ., მუხ.19
საქართველოს 2007 წლის 27 მარტის კანონი №4519 - სსმ I, №9 31.03.2007 წ., მუხ.84
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1924 - სსმ I, №35 19.11.2009 წ., მუხ.234
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1802 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. კომერციული ბანკების საქმიანობა რეგლამენტირდება ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

1[1]. აქციონერთა საერთო კრების მოწვევის, სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის, აქციონერთა უფლებებისა და მოვალეობების, სამეწარმეო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვისა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ ამ კანონის მოთხოვნები, მათ შორის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით, VIII თავით, 152-ე მუხლის მე-10–მე-12 პუნქტებით, 163-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-6 პუნქტებით, 164-ე მუხლის მე-4 პუნქტით, 166-ე მუხლის პირველი პუნქტით, 169-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტებით, 170-ე და 189-ე მუხლებით, 191-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, 192-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებით, 193-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5–მე-10 პუნქტებით, 194-ე და 201-ე მუხლებით, 202-ე მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებითა და 225-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, არ ვრცელდება რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე.

2. არავის არა აქვს უფლება, მოიზიდოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით გასცეს კრედიტები ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე.

3. არავის არ აქვს უფლება, გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“, „მიკრობანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით ამ კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გარეშე, იმავე კანონით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით ან როდესაც იმ კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „ბანკი“, „მიკრობანკი“, ჩანს, რომ იგი არ ახორციელებს ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ან „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობას.

4. (ამოღებულია – 01.07.2011, №5002).

4[1]. (ამოღებულია – 01.07.2011, №5002).

4[2]. (ამოღებულია – 01.07.2011, №5002).

4[3]. (ამოღებულია – 01.07.2011, №5002).

5. კომერციულ ბანკებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონსა და სხვა კანონებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება ამ კანონის დებულებანი.

საქართველოს 1998 წლის 13 ოქტომბრის კანონი №1636 - სსმ I, №2 26.10.1998 წ., მუხ.27
საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1742 - სსმ I, №7 31.12.1998 წ., მუხ.60
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ. 125
საქართველოს 2007 წლის 27 მარტის კანონი №4519 - სსმ I, №9 31.03.2007 წ., მუხ.84
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.

საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

თავი II
ლიცენზირება

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 3. სალიცენზიო მოთხოვნები

1. ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მისი განაღდებული კაპიტალის ოდენობა შეესაბამება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ადმინისტრატორი აკმაყოფილებს ამ კანონითა და კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

გ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი აკმაყოფილებს ამ კანონითა და კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

დ) ჯგუფის სტრუქტურა, მფლობელობის სტრუქტურა, მმართველობის სტრუქტურა და საოპერაციო საქმიანობა/გარემო არის გამჭვირვალე, შეესაბამება სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტებს, უზრუნველყოფს ეფექტიანი ინდივიდუალური ან კონსოლიდირებული ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას და საფრთხეს არ უქმნის ბანკის ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას. თუ ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ექვემდებარება სხვა ქვეყნის იურისდიქციას, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის შეფასებისას ეროვნული ბანკი ასევე ითვალისწინებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პროცედურების გავლენას ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებაზე;

ე) ბიზნესგეგმის ადეკვატურობის, განხორციელებადობის და საბანკო სექტორში მისი პოტენციური პოზიციის გათვალისწინებით მას ექნება მდგრადი ფუნქციონირების შესაძლებლობა;

ვ) მისი სათავო ოფისი (ადგილი, სადაც ბანკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა მიიღება) საქართველოს ტერიტორიაზეა და საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად დაკავებული ფართობი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

2. ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობისთვის, ასევე საბანკო სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, ადგილობრივ ბაზარზე არსებითად ახალი და ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების და ფინანსურ მომსახურებაზე მომხმარებელთა წვდომის გაზრდის მიზნით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია იურიდიულ პირზე გასცეს პირობითი ლიცენზია კომერციული ბანკის ლიცენზირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების დროებით გამარტივებით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირობითი ლიცენზიის გაცემისას, რისკების შემცირების მიზნით, განსაზღვროს შესაბამისი შეზღუდვები ან/და ინდივიდუალური/დამატებითი მოთხოვნები, მათი სრულად დაკმაყოფილების ეტაპები და ვადები.

3. ეროვნული ბანკი სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს კომერციული ბანკის ლიცენზირების წესსა და პირობებს, მათ შორის, დამატებით წარსადგენ ინფორმაციას, აგრეთვე პირობითი ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებს.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 3^1. წერილობითი მიმართვა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ წერილობით მიმართვას წარუდგენს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მიერ უფლებამოსილი პირი.

2. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ წერილობით მიმართვას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია და ინფორმაცია:

ა) საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო დოკუმენტები;

ბ) კომერციული ბანკის ცნობა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ნებადართული კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მონაცემებს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ნებადართული კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ. უცხოეთის ბანკის ფილიალი ან შვილობილი ბანკი წარადგენს ინფორმაციას სათავო ბანკის მიერ მისთვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის შესახებ;

გ) კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის

მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად;

დ) ინფორმაცია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ადმინისტრატორისა და მმართველი ორგანოების (დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს) ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი შესაფერისობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

ე) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის თაობაზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – 20 უმსხვილესი აქციონერის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;

ზ) ინფორმაცია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის მფლობელობის სტრუქტურის/ჯგუფის სტრუქტურის შესახებ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

თ) ინფორმაცია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის შესახებ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

ი) საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

კ) საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ბიზნესგეგმა, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

ლ) ინფორმაცია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის წარსული საქმიანობის შესახებ, კომერციული ბანკის ლიცენზირების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის შესაბამისად;

მ) უცხოური ბანკის ფილიალის ან შვილობილი ბანკის ლიცენზირების შემთხვევაში – დამატებითი ინფორმაცია, ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად;

ნ) იმ უძრავი ქონებით სარგებლობის ან მასზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სადაც განთავსდება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი ან მისი ფილიალი;

ო) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

3. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის/კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის/ჯგუფის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს მფლობელობის ყველა დონის შესახებ, უშუალო აქციონერების, შუალედური მფლობელებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეების ჩათვლით. კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:

ა.ა) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ა.ბ) მოქალაქეობისა და რეზიდენტობის შესახებ ინფორმაციას;

ა.გ) დეტალურ ავტობიოგრაფიას;

ა.დ) ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად ან წარსულში მოქმედ კომერციულ ბანკში არსებული წილის ოდენობის და სხვა ბიზნესინტერესების შესახებ;

ა.ე) ნასამართლობის შესახებ ცნობას ყველა იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტიც იყო იგი ბოლო 10 წლის განმავლობაში;

ა.ვ) ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლის წყაროს და წარმომავლობის შესახებ მონაცემებს;

ა.ზ) შემოსავლების შესახებ საგადასახადო დეკლარაციას;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:

ბ.ა) სარეგისტრაციო დოკუმენტებს;

ბ.ბ) აუდიტორის მიერ უახლესი პერიოდის (კვარტალის) აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;

ბ.გ) იურიდიული პირისა და მისი ადმინისტრატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის/ნასამართლობის შესახებ ცნობებს ყველა იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტებიც იყვნენ ისინი ბოლო 10 წლის განმავლობაში.

4. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის, შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ინფორმაციას.

5. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) კორპორაციული მართვის დებულებას;

ბ) ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მენეჯმენტის სამუშაოს აღწერილობას;

გ) საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების და სხვა შესაბამისი რისკების მართვის ჩარჩოს;

დ) კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების მოდელს;

ე) კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებას ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, ბიზნესგეგმაში წარმოდგენილ ბიუჯეტზე დაყრდნობით;

ვ) სააღრიცხვო პოლიტიკას.

6. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ბიზნესგეგმა უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული იურიდიული პირის დაგეგმილ საქმიანობას და უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიზნესსტრატეგიას;

ბ) ინფორმაციას კომერციული ბანკის ბიზნესსტრატეგიაზე ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის პოტენციური გავლენის შესახებ;

გ) მიზნობრივი ბაზრის აღწერასა და საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებას;

დ) საბიუჯეტო გეგმასა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზს, მათ შორის, სტრესული სცენარების გათვალისწინებით მომდევნო 3 წლისთვის;

ე) ბიზნესთან და რეგულაციებთან დაკავშირებულ რისკფაქტორებს;

ვ) საინფორმაციო ტექნოლოგიების საწყის ეტაპზე დასანერგ მინიმუმს და მათი მომდევნო საოპერაციო პერიოდში დანერგვის გეგმას.

7. უცხოური ბანკის ფილიალის ან შვილობილი ბანკის ლიცენზირების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) სათავო ბანკის ბოლო 3 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და მოგება-ზარალის ანგარიშგებას;

ბ) სათავო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ეროვნული ბანკისთვის მიმართვის შესახებ;

გ) სათავო ბანკის ზედამხედველობის ორგანოს დასტურს საქართველოში ფილიალის/შვილობილი ბანკის გახსნაზე.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს დედნების ან მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლების სახით. უცხო ქვეყანაში გაცემული დოკუმენტები ასევე უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან/და ლეგალიზებული. ამასთანავე, წარდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული დოკუმენტაციის ქართულ ენაზე სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

9. არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, თუ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობის გაცემას, ეროვნულ ბანკს უნდა წარედგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი.

10. ლიცენზირებული კომერციული ბანკი, მისი აქციონერები, შუალედური მფლობელები და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეები ვალდებული არიან, ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ამ მუხლით განსაზღვრული შესაბამისი განახლებული ინფორმაცია.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 4. ლიცენზირების შესახებ გადაწყვეტილება

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი.

2. საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. მისი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.

3. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ეროვნული ბანკი შეისწავლის წარდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნებთან შესაბამისობას. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ წერილობითი მიმართვის მიღებამდე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელთან გამართოს შესაბამისი კონსულტაციები.

4. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წერილობითი მიმართვის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ეროვნული ბანკი ამოწმებს წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ფორმალურ შესაბამისობას ამ კანონის მე-3, 3^1 მუხლებითა და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუ ლიცენზიის მაძიებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას სრულყოფილად არ წარადგენს, ეროვნული ბანკი ლიცენზიის მაძიებელს უდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე უარს ეუბნება. ლიცენზიის მაძიებლის მიერ სრულყოფილი წერილობითი მიმართვის წარდგენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი წერილობით უდასტურებს პირს მის მიღებას, რომელშიც მიეთითება ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა.

5. ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას განიხილავს სრულყოფილი წერილობითი მიმართვის მიღების შესახებ დასტურის გაცემიდან 6 თვის ვადაში. განხილვის პერიოდში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მოითხოვოს ნებისმიერი სხვა, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში ჩერდება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება და განისაზღვრება ვადა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარსადგენად (მათ შორის, რამდენჯერმე). ლიცენზიის მაძიებლის მიერ ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა ვადის დინების განახლების საფუძველია, ხოლო დადგენილ ვადაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობა – ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. განხილვის შედეგად, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ პირს წერილობით აცნობებს ლიცენზიის გაცემაზე თანხმობას ან დასაბუთებულ უარს, თუ ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით

განსაზღვრულ სალიცენზიო მოთხოვნებს.

6. ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 5. კომერციული ბანკის ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები

1. კომერციული ბანკის ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ შესაფერისობის კრიტერიუმებს:

ა) კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც, მათ შორის, გულისხმობს, რომ იგი არ უნდა იყოს ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

ბ) საბანკო საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, უნარები და გამოცდილება;

გ) განსჯის დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს უნარს დამოუკიდებელი და ობიექტური განსჯის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, შეაფასოს მმართველი ორგანოების სხვა წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი;

დ) საკმარისი დრო საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად;

ე) პარალელურად დაკავებული პოზიციების რაოდენობა – კომერციული ბანკის ადმინისტრატორი არ უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის, მიკრობანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან/და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სუბიექტი/სუბიექტები ექვემდებარება/ექვემდებარებიან იმ კომერციული ბანკის კონტროლს ან არის/არიან იმ კომერციული ბანკის მაკონტროლებელი სუბიექტი/სუბიექტები, რომელშიც მას ადმინისტრატორის პოზიცია უკავია. კომერციული ბანკის ადმინისტრატორი არ უნდა იყოს 5-ზე მეტი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორატის წევრი. ამასთანავე, 1 აღმასრულებელი პოზიცია თავსებადია 2 არააღმასრულებელ პოზიციასთან ან დასაშვებია 5 არააღმასრულებელი პოზიციის დაკავება. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში დაკავებული პოზიციები არ გაითვალისწინება. ამავე ქვეპუნქტის მიზნებისთვის 1 პოზიციად მიიჩნევა:

ე.ა) ერთ ჯგუფში დაკავებული პოზიციები. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ჯგუფი გულისხმობს კომერციულ ბანკს, მის სათავო საწარმოს და შვილობილ საწარმოს/საწარმოებს;

ე.ბ) იმ საწარმოში/საწარმოებში დაკავებული პოზიციები, რომლის/რომელთა მნიშვნელოვან წილსაც ფლობს კომერციული ბანკი.

2. ადმინისტრატორის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული ბანკი, რომელიც შეფასებისას ხელმძღვანელობს პროპორციულობის პრინციპით, რაც გულისხმობს შესაფერისობის კრიტერიუმების შეფასებას ბანკის ზომის, შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის, რისკის პროფილისა და კომპლექსურობის მიხედვით. პროპორციულობის პრინციპი არ გამოიყენება კარგი რეპუტაციის, სანდოობისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების კრიტერიუმების შეფასებისას. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად განისაზღვრება შეფასების ინტენსივობის ხარისხი, შეფასების პროცედურა და წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსი.

3. ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასება გულისხმობს ადმინისტრატორების როგორც ინდივიდუალური, ასევე ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი შესაფერისობის შეფასებას.

4. ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასებისას გაითვალისწინება მრავალფეროვნების პოლიტიკა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სულ მცირე განათლების, პროფესიული გამოცდილების, ასაკისა და სქესის ფაქტორებს.

5. ბანკი ვალდებულია ადმინისტრატორის დანიშვნამდე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია/ინფორმაცია და არ დანიშნოს პირი ეროვნული ბანკის მიერ ადმინისტრატორის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო უკვე დანიშნული პირის შეუსაბამობის შემთხვევაში, გადააყენოს იგი დაკავებული პოზიციიდან.

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევებში, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის გარეშე გასცეს პირობითი თანხმობა ადმინისტრატორის დანიშვნის თაობაზე და განსაზღვროს ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის ვადა, არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა. აღნიშნულ ვადაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად წარუდგენლობის შემთხვევაში, ადმინისტრატორის დანიშვნის თაობაზე გაცემული პირობითი თანხმობა, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომენტიდან, ავტომატურად გაუქმდება.

7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამართლებრივი აქტით განსაზღვროს კომერციული ბანკის ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების შეფასების წესი და პროცედურა, მათ შორის, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი შესაფერისობის საკითხები, წარსადგენი ინფორმაცია

და განმარტოს შეფასების კრიტერიუმების შინაარსი.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 6. ლიცენზირების პროცედურების გამარტივების განსაკუთრებული შემთხვევები

1. უცხოური ბანკის ფილიალის ან შვილობილი კომპანიის ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით, თუ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი არის განსაკუთრებულად სანდო ბანკი, კერძოდ, თუ მას აქვს ცნობადობის მაღალი დონე, კარგი რეპუტაცია, მაღალი საკრედიტო რეიტინგი, ფინანსურ სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, მდგრადი ფინანსური მაჩვენებლები და გამჭვირვალობის მაღალი დონე.

2. სანდო უცხოური ბანკის საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ხელშეწყობის მიზნით ეროვნული ბანკი მას ინდივიდუალურად განუსაზღვრავს იმ დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა უცხოური ბანკის ფილიალმა ან შვილობილმა კომპანიამ უნდა წარადგინოს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ბანკის ლიცენზირების გამარტივებული პროცედურები.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 7. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება

ეროვნული ბანკია უფლებამოსილი, კომერციულ ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია. მისი გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) კომერციული ბანკის თხოვნა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე;

ბ) კომერციული ბანკის მიერ ამ კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა;

გ) კომერციული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ყალბი ან/და არასწორი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენა;

დ) კომერციული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების დღიდან 12 თვის განმავლობაში საქმიანობის განუხორციელებლობა, ხოლო მოქმედი კომერციული ბანკის მიერ საქმიანობის 6 თვეზე მეტი ხნით შეწყვეტა;

ე) კომერციული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი ბიზნესგეგმიდან და ბიზნესსტრატეგიიდან მნიშვნელოვანი გადახვევა ეროვნულ ბანკთან შეუთანხმებლად;

ვ) კომერციული ბანკის სხვა ბანკთან შერწყმა, მიერთება ან გამოყოფა;

ზ) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის არარსებობა, ან ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით კრედიტორების ნდობის დაკარგვა, ან მინდობილი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუძლებლობა;

თ) კომერციული ბანკის აქციონერების გადაწყვეტილება კომერციული ბანკის გაუქმების ან ლიკვიდაციის შესახებ;

ი) კომერციული ბანკის რისკების მართვის სუსტი მოდელი, მისი ფინანსური მდგომარეობისთვის საფრთხის შემქმნელი ან არაჯანსაღი საბანკო პრაქტიკა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს კომერციული ბანკის დეპოზიტარებს ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობას ან საფრთხე შეუქმნას საბანკო სისტემის სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას;

კ) კომერციული ბანკის არსებული ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს მოგებიანობის სუსტი მაჩვენებლებითა და საზედამხედველო კოეფიციენტების დარღვევით ან სხვაგვარად;

ლ) კომერციული ბანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა;

ლ[1]) კომერციული ბანკის ფუნქციონირების გაგრძელების მიზნით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული დროებითი სახელმწიფო დაფინანსების საჭიროება ან იმავე კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის ბოლო ინსტანციის სესხის საჭიროება;

ლ[2]) ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომების ან/და ამავე კანონის 30[1] მუხლით განსაზღვრული ადრეული ინტერვენციის ზომის უშედეგოდ გამოყენება;

მ) კომერციული ბანკის ჯგუფის სტრუქტურის სირთულე ან/და არაგამჭვირვალობა, რაც აფერხებს ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას;

ნ) კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის ისეთი ცვლილება, რომელიც საფრთხეს უქმნის კომერციული ბანკის ან/და ფინანსური სექტორის ფინანსურ სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას;

ო) სასამართლოს გადაწყვეტილება კომერციული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

პ) კომერციული ბანკის ადმინისტრატორის, მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შეუსაბამობა;

პ[1]) რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის უშედეგოდ დასრულება;

ჟ) უცხოური ბანკის ფილიალის სათავო დაწესებულებისთვის სათავო დაწესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევა, ან შემთხვევა, როდესაც, ეროვნული ბანკის შეფასებით, უცხოური ბანკი არ ასრულებს უცხოური ბანკის ფილიალის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს, ამასთანავე, ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ ხდება ან გონივრულ ვადაში არ მოხდება რეზოლუციის რეჟიმის შემოღება ან გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება, ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში რეზოლუციის რეჟიმის შემოღება ან გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება საქართველოში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისთვის საკმარისი არ იქნება, ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში შემოღებულ რეზოლუციის რეჟიმში ან გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში საქართველოში არსებული უცხოური ბანკის ფილიალის კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა უზრუნველყოფილი არ იქნება;

რ) პირობითი ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, პირობითი ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნების/შეზღუდვების შეუსრულებლობა.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 8. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება და მისი შედეგები

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან ან აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა თარიღიდან.

2. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე სავალდებულოა ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება ამ კანონის 37[12] მუხლით დადგენილი წესით.

3. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან იურიდიულ პირს ეკრძალება ამ ლიცენზიით განსაზღვრული ყოველგვარი საქმიანობა. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან აღნიშნული იურიდიული პირი ვალდებულია უმოკლეს ვადაში შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვალდებულება. ამ ვალდებულების შესრულებამდე იურიდიული პირი ლიცენზირებული კომერციული ბანკის მსგავსად ემორჩილება კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კომერციული ბანკის გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

თავი II[1]
კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29

მუხლი 8[1]. შეტყობინებისა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

1. პირი ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი (შემდგომ – განმცხადებელი), რომელიც აპირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძინოს კომერციული ბანკის წილი იმ ოდენობით, რომ ამ კომერციული ბანკის კაპიტალში მისი პირდაპირი/არაპირდაპირი მონაწილეობა 10, 20, 30 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ან/და მოიპოვებს მნიშვნელოვან გავლენას ან კონტროლს კომერციულ ბანკზე, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში წილის ოდენობისა, ვალდებულია ეროვნულ ბანკს პირადად, წარმომადგენლის ან ბანკის მეშვეობით წარუდგინოს მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი წილის შეძენის/ცვლილების დასადგენად, გაითვალისწინება პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილების ჯამური ოდენობა.

2. განმცხადებლის წინასწარი განზრახვის გარეშე მნიშვნელოვანი წილის შეძენის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც განმცხადებლისთვის ცნობილი გახდება აღნიშნული ფაქტის შესახებ. ეროვნული ბანკის მიერ მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პირმა არ უნდა გამოიყენოს მნიშვნელოვანი წილის ფლობასთან დაკავშირებული ხმის უფლებები და სხვა უფლებამოსილებები. განმცხადებლის წინასწარი განზრახვის გარეშე მნიშვნელოვანი წილის შეძენისას,

ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება არსებობს მიუხედავად იმისა, გეგმავს თუ არა შემძენი იმ ოდენობის წილის გასხვისებას, რომ მის მფლობელობაში არსებული წილი ზღვრულ ოდენობას დაუბრუნდეს.

3. მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ეროვნული ბანკი შეისწავლის წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ითვალისწინებს შემდეგ შესაფერისობის კრიტერიუმებს:

ა) განმცხადებლის რეპუტაციას, რაც მოიცავს მის სანდოობასა და სათანადო კომპეტენციას;

ბ) განმცხადებლის მიერ ბანკის ადმინისტრატორად შერჩეული პირის (ასეთი უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობას ამ კანონითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

გ) განმცხადებლის ფინანსურ სიმყარეს;

დ) ბანკის შესაბამისობას პრუდენციულ საზედამხედველო მოთხოვნებთან განმცხადებლის მიერ წილის შეძენის შემდგომ;

ე) განმცხადებელთან/ტრანზაქციასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების არარსებობას.

4. პირს ეკრძალება იყოს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

5. განმცხადებლის შესაფერისობის შეფასებისას ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს პროპორციულობის პრინციპით, რაც გულისხმობს შეფასების კრიტერიუმების შეფასებას ბანკის ზომის, შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის, რისკის პროფილისა და კომპლექსურობის, წილის ოდენობის, შემძენის სახის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პირდაპირი/არაპირდაპირი მფლობელი/შემძენი), წილის შეძენის მიზნისა და ბანკზე შესაძლო ზეგავლენის მიხედვით. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად განისაზღვრება შეფასების ინტენსივობის ხარისხი, შეფასების პროცედურა და წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსი. პროპორციულობის პრინციპი არ ვრცელდება განმცხადებლის რეპუტაციის შეფასების ფარგლებში მისი სანდოობის შეფასებზე.

6. ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ შემძენს. ეროვნული ბანკის თანხმობით დასაშვებია ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა შუალედური მფლობელის სახელით.

7. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, იგი უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონითა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გარდა, მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

8. კომერციული ბანკის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი, რომელიც აპირებს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გაყიდოს კომერციული ბანკის იმ ოდენობის წილი, რომ ამ კომერციული ბანკის კაპიტალში მისი წილი 10, 20, 30 ან 50 პროცენტს ჩამოსცდება, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ შეატყობინოს ეროვნულ ბანკს. შეტყობინება უნდა მოიცავდეს აღნიშნული ტრანზაქციის თაობაზე მაქსიმალურად დეტალურ ინფორმაციას.

9. კომერციული ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის ნებისმიერი ცვლილების (მათ შორის, მისთვის ცნობილი, წილის ფლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების) შესახებ.

10. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის კრიტერიუმების შინაარსი, მნიშვნელოვანი წილის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, წარსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, შეფასების წესი და პროცედურა.

11. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის გამარტივებული პროცედურები.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5528 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5228 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 8[2]. განმცხადებლის შესაფერისობის შეფასება

1. განმცხადებლის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ეროვნული ბანკი ამოწმებს წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ფორმალურ შესაბამისობას ამ კანონითა და ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუ განმცხადებლის მიერ არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სრულყოფილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ეროვნული ბანკი განმცხადებელს უდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი განმცხადებელს მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე უარს ეუბნება. განმცხადებლის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უდასტურებს პირს მის მიღებას, რომელშიც მიეთითება შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა.

2. ეროვნული ბანკი წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას განიხილავს სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ დასტურის გაცემიდან 60 სამუშაო დღის ვადაში. განხილვის პერიოდში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით მოითხოვოს ნებისმიერი სხვა, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია, ასევე მას უფლება აქვს, აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმოს ან უშუალოდ განმცხადებელთან დააზუსტოს. დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნა დასაშვებია ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესახებ წერილობითი დასტურის გაცემიდან არაუგვიანეს 50-ე სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში განხილვის ვადის დინება შეჩერდება დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენამდე, არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა ან არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა, თუ განმცხადებელი არარეზიდენტი პირია, რის შესახებაც განმცხადებელს უნდა ეცნობოს. განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა ვადის დინების განახლების საფუძველია, ხოლო დადგენილ ვადაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობა – მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე უარის თქმის საფუძველი. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ხელახლა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა ან ინფორმაციის დაზუსტება. ასეთ შემთხვევაში განხილვის ვადის დინება აღარ შეჩერდება.

3. ეროვნული ბანკი, წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, თანხმობას აძლევს განმცხადებელს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე ან დასაბუთებულ უარს ეუბნება, თუ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონითა და კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შესაფერისობის მოთხოვნებს ან მან არ წარადგინა ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია უარი განუცხადოს განმცხადებელს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. მნიშვნელოვანი წილის შეძენის ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობა ან დასაბუთებული უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს შეფასების დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, შეფასების საერთო ვადის დაურღვევლად.

5. დოკუმენტაციის/ინფორმაციის მიღების შესახებ დასტურის გაცემიდან 60 სამუშაო დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა გაგრძელოს 90 სამუშაო დღემდე, რის შესახებაც განმცხადებელს ეცნობება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

6. ეროვნული ბანკისათვის შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან ეროვნული ბანკის დასაბუთებული უარის მიუხედავად წილის შეძენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შესაბამის პირს შეუჩეროს ხმის უფლება ან/და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირება/მნიშვნელოვანი გავლენის/კონტროლის გაუქმება, ასევე მოსთხოვოს კომერციულ ბანკს პირის მიერ წილის შეძენის შედეგად მიღებული ხმის უფლების ან/და სხვა უფლებამოსილებების გამოყენების შედეგების გაუქმება.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 8[3]. ეროვნული ბანკისათვის პერიოდულად წარსადგენი ინფორმაცია

1. კომერციული ბანკი, თავის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ეროვნულ ბანკს წლიურ ანგარიშთან ერთად წარუდგენს ინფორმაციას მისი მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის შესახებ და აღნიშნავს, ადასტურებს თუ არა ამ ინფორმაციის სიზუსტეს.

2. მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ვალდებულია ყოველი წლის აპრილში ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განახლებული ინფორმაცია შეცვლილი გარემოებების შესახებ ან დაადასტუროს, რომ ცვლილებები არ ყოფილა.

3. კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის მიერ ეროვნული ბანკისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 8^4. მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის მიერ ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა და საზედამხედველო ზომები

1. საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეუძლია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს მისი მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის შესახებ განახლებული ან დამაზუსტებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე არ წარადგენს ინფორმაციას/დოკუმენტაციას ან, ეროვნული ბანკის შეფასებით, მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ვეღარ აკმაყოფილებს შესაფერისობის კრიტერიუმებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შესაბამის პირს:

ა) გარკვეული ვადით, შეუჩეროს ხმის უფლება და მოსთხოვოს მას მის საკუთრებაში არსებული წილის 60-დღიან ვადაში 10 პროცენტამდე შემცირება;

ბ) უვადოდ შეუჩეროს ხმის უფლება.

3. შესაბამის პირს უფლება აქვს, კომერციული ბანკის წილის შეძენაზე უარის, ხმის უფლების შეჩერების ან/და მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირების მოთხოვნის შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

4. ხმის უფლების შეჩერების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში შესაბამის პირს უფლება აქვს, ისარგებლოს მხოლოდ წილის 10 პროცენტის შესაბამისი ხმის უფლებით.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი III
საკუთრების უფლება და მართვა

მუხლი 9. მოთხოვნები კომერციული ბანკის კაპიტალისა და რეზერვების მიმართ

1. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, განაღდებული კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობებს და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკს ეკრძალება განთავსებული კაპიტალის არაფულადი ფორმით შევსება/ფორმირება.

2. კომერციულ ბანკს უფლება არ აქვს, შეამციროს თავისი განთავსებული კაპიტალი აქციების გამოსყიდვით ან შეამციროს თავისი საზედამხედველო კაპიტალი რეზერვების გამოყენებით ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობისა და კომერციული ბანკის წესდებაში განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ სათანადო შესწორების შეტანის გარეშე.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.

მუხლი 10. კომერციული ბანკის საკუთრების უფლების, აქტივების, მფლობელობის სტრუქტურისა და ჯგუფის სტრუქტურის შეზღუდვა

1. კომერციული ბანკი უფლებამოსილია:

ა) ამ მუხლის 1^1 პუნქტის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის განთავსებული კაპიტალის წილის არაუმეტეს 20 პროცენტისა, თუ კომერციული ბანკის წილი ჯამურად კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს არ აღემატება;

ბ) (ამოღებულია - 23.12.2018, №1895);

გ) ამ მუხლის 1^1 პუნქტის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე შექმნას ან/და შეიძინოს საწარმო, რომელშიც მისი წილი 20 პროცენტს აღემატება. ამ შემთხვევაში ნებართვაში თითოეული ასეთი საწარმოს მიხედვით დათქმული უნდა იყოს საქმიანობის სახეობა, რომლის

განხორციელებაც მას შეუძლია. საწარმოს საქმიანობა შეზღუდულია ნებართვაში დათქმული საქმიანობის სახეობით. ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე აღნიშნული წილი კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს;

დ) მიიღოს საწარმოს წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად. კომერციულმა ბანკმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეროვნულ ბანკს და უნდა შეატყობინოს მას აღნიშნული საწარმოს საქმიანობის თაობაზე. თუ იმ საწარმოს საქმიანობა, რომლის წილიც მიიღო კომერციულმა ბანკმა, არ არის ამ მუხლის 1^1 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა, კომერციულმა ბანკმა 6 თვის ვადაში უნდა მიიღოს ზომები წილის გაყიდვისათვის. ეროვნული ბანკისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში კომერციულ ბანკს უფლება აქვს, წილი გაყიდოს არაუგვიანეს 1 წლისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გააგრძელოს ეს ვადა, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ რამდენჯერ გაგრძელდება, ჯამურად 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს. თუ დასაკუთრებული წილის ოდენობა კომერციულ ბანკს ანიჭებს საწარმოს კონტროლის და მისი საქმიანობის მართვის უფლებამოსილებას, მისი დასაკუთრებიდან მის გასხვისებამდე დაუშვებელია ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე საწარმოს მიერ ახალი, დამატებითი საქმიანობის დაწყება;

ე) შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში, და შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს მასში წილს, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს არ აღემატება.

1^1. კომერციულ ბანკს ეკრძალება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი ოდენობით ფლობდეს წილს იმ იურიდიული პირის კაპიტალში, რომელიც არ არის ფინანსური ინსტიტუტი ან რომლის საქმიანობა არ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობასთან ან კომერციული ბანკის სოციალურ პროექტებთან. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დილინგური ოპერაციების განხორციელებისათვის განკუთვნილ ფასიან ქაღალდებზე.

1^2. კომერციულმა ბანკმა ინვესტიციების საქართველოს ფარგლების გარეთ, უცხო ქვეყანაში განხორციელებისას ეროვნულ ბანკს უნდა დაუსაბუთოს, რომ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა არ ზღუდავს ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების, მათ შორის, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის, შესაძლებლობას.“;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“–„ე“ ქვეპუნქტებში მითითებული წილების ერთობლივი ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არაუმეტეს 1 წლის ვადით გაათავისუფლოს კომერციული ბანკი ამ პუნქტის მოთხოვნათა დაცვისგან.

2^1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნორმატიული აქტით განსაზღვროს კრიტერიუმები, რომლებითაც იხელმძღვანელებს იგი კომერციული ბანკის მიერ ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

3. კომერციული ბანკი ვალდებულია ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბანკის თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილის 10 პროცენტზე მეტს (მისი ოდენობის მითითებით), ეს ინფორმაცია მიაწოდოს ეროვნულ ბანკს (ისევე, როგორც ინფორმაცია ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილების თაობაზე) და საჯაროდ გამოაქვეყნოს თავის წლიურ ანგარიშში. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ასეთი ინფორმაციის მიწოდებისა და გამოქვეყნების წესს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ შეეხება კომერციული ბანკის იმ ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომლის ვინაობის დადგენაც ბანკს არ შეუძლია, ვინაიდან მის სასარგებლოდ ნომინალური მფლობელობა ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში განთავსებული და იქ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საკლირინგო ორგანიზაციების ან საერთაშორისო დეპოზიტარების მიერ.

5. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც შეეხება კომერციული ბანკის პარტნიორს (აქციონერს), აგრეთვე ვრცელდება ბენეფიციარ მესაკუთრეზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კომერციული ბანკის აქციებს (წილს).

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს მფლობელობის სტრუქტურის ან/და ჯგუფის სტრუქტურის შეცვლა/გამარტივება ან/და გამიჯვნა, თუ მფლობელობის სტრუქტურის/ჯგუფის სტრუქტურის სირთულე აფერხებს ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას ან/და საფრთხეს უქმნის ან შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომერციული ბანკის ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას.

7. კომერციული ბანკი ვალდებულია სადამფუძნებლო სტრუქტურის ისეთი ცვლილება, რომელსაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს ლიცენზირების პირობებთან/კრიტერიუმებთან ბანკის შესაბამისობაზე, წინასწარ შეუთანხმოს ეროვნულ ბანკს, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1751 - სსმ I, №1(8) 14.01.1999 წ., მუხ.4

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ. 125

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1617 - სსმ I, №23 24.07.2002 წ., მუხ.108

საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონი №1938 - სსმ I, №3 17.01.2003 წ., მუხ.19

საქართველოს 2006 წლის 17 მარტის კანონი №2787 - სსმ I, №8 24.03.2006 წ., მუხ.59
საქართველოს 2007 წლის 27 მარტის კანონი №4519 - სსმ I, №9 31.03.2007 წ., მუხ.84
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2830 - სსმ I, №19 13.04.2010 წ., მუხ.104
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 10[1]. მოთხოვნები კომერციული ბანკის შვილობილი საწარმოს მიმართ, რომელიც საქართველოს ფარგლების გარეთ ახორციელებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშვალდებული პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას

1. კომერციულმა ბანკმა საქართველოს ფარგლების გარეთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშვალდებული პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შეძენიდან 14 დღის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს კომერციული ბანკის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) (შემდგომ – FATF) რეკომენდაციების შესასრულებლად შვილობილმა საწარმომ ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიმუშავა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.

2. თუ შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული არ არის შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულება ან ამ ქვეყანაში არ ხორციელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:

ა) კომერციულმა ბანკმა უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ იგი უზრუნველყოფს თავისი შვილობილი საწარმოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას კომერციული ბანკისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) კომერციული ბანკი უზრუნველყოფს ეროვნული ბანკისთვის იმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რომ მისი შვილობილი საწარმო ვერ ახორციელებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს, რადგან ამას კრძალავს ან ზღუდავს შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2830 - სსმ I, №19 13.04.2010 წ., მუხ.104
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5228 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.

მუხლი 10[2]. კომერციული ბანკის მიკრობანკად გარდაქმნა

1. კომერციული ბანკი უფლებამოსილია შეიცვალოს საქმიანობის საგანი და ეროვნულ ბანკს მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად.

2. ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კომერციული ბანკი უწყვეტად ახორციელებს საქმიანობას და მასზე ვრცელდება ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები.

3. ეროვნული ბანკი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმებისთანავე მისი უფლებამონაცვლე ხდება შესაბამისი მიკრობანკი.

4. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის მიღების შემთხვევაში კომერციული ბანკი განაგრძობს საქმიანობას ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 11. კომერციული ბანკების გაყოფა ან შერწყმა

1. კომერციული ბანკების გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა) ან შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) შეიძლება მხოლოდ ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ. დაუშვებელია კომერციული ბანკების ისეთი გაყოფა ან შერწყმა, რომელიც არ შეესაბამება ამ კანონის მე-10 მუხლის დებულებებს.

2. ეროვნული ბანკი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განიხილავს კომერციული ბანკების შერწყმის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობას.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7130 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 12. კომერციული ბანკის წესდება

1. კომერციულ ბანკს აქვს წესდება. კომერციული ბანკის წესდება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას. წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით ეცნობება ეროვნულ ბანკს.

2. კომერციული ბანკის მართვა ხორციელდება მისი წესდებითა და სხვა შიდაორგანიზაციული წესებით, რომლებიც უნდა განსაზღვრავდეს მის ორგანიზაციულ სტრუქტურას, რისკების მართვის ჩარჩოს, პასუხისმგებლობებს და უნდა იყოს ფორმალიზებული და ეროვნული ბანკისთვის მუდმივად ხელმისაწვდომი.

3. კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს თავის წესდებასა და სხვა შიდაორგანიზაციულ წესებს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა სიას, რომლებსაც კომერციული ბანკის წარმომადგენლის უფლებამოსილება აქვთ, მათი ხელმოწერების ნიმუშებს და მათი უფლებამოსილების ფარგლების შესახებ აღნიშვნას.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 13. კომერციული ბანკის ხელმძღვანელი ორგანოები

კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. კომერციული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და კომერციული ბანკის წესდების შესაბამისად. იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს. ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ (თარიღისა და დღის წესრიგის მითითებით) კრებაში შესაძლო მონაწილეობის მისაღებად აქციონერებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა მიეწოდოს ეროვნულ ბანკს.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001წ., მუხ. 125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭო

1. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს კომერციული ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობას. იგი შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის წესი რეგულირდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით.

2. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აღმასრულებელ ფუნქციებს არ უნდა ასრულებდეს.

3. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს არაუმეტს 4 წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია.

4. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ნებადართულია მხოლოდ ფიქსირებული ანაზღაურება.

5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საბჭოს წევრობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-5 მუხლითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნებს.

6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. ამ მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისათვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ბანკის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

7. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. მათ უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, კომერციული ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა.

8. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ. 125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 15. დირექტორატი

1. კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ კომერციული ბანკის დირექტორებს. ისინი პასუხისმგებელი არიან ბანკის საქმეების მართვისა და მისი ფუნქციების შესრულებისათვის. დირექტორატი შედგება არანაკლებ 3 დირექტორისაგან, რომელთაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 წლის ვადით. მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

2. ყველა ბანკის დირექტორატის სტრუქტურაში უნდა იყოს გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

3. კომერციული ბანკის დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრის პოზიციიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-5 მუხლითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნებს.

4. დირექტორატის წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. ისინი, ამ მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის, ბანკის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. დირექტორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

5. კომერციული ბანკის დირექტორატს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 16. აუდიტის კომიტეტი

1. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტის წევრთა უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.

2. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დამოუკიდებლად მიიჩნევა, თუ იგი არ განიცდის კომერციული ბანკის ან სხვა გარე მხარის გავლენას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით.

3. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე ორ წევრს, მათ შორის, კომიტეტის თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი, გამოცდილება ან ფინანსური განათლება.

4. აუდიტის კომიტეტი კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

5. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია: შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებით ბანკის მიდგომების და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრა, ფინანსური ანგარიშგების პროცესის მონიტორინგი, შიდა აუდიტის და კომერციული ბანკის აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა დამატებით ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 17. საბანკო საიდუმლოება

1. არავის აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს იგი. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ ეროვნულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

2. ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), განხორციელებული გადახდის ოპერაციის, ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს, გადახდის ოპერაციის განხორციელებისას – გადამხდელ პირს ან/და მიმღებ პირს, შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, საგადასახადო ორგანოს – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. ეს ინფორმაცია შეიძლება გაიცეს აგრეთვე სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

3. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.

3^1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს იმ იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს, რომლებთანაც ამოქმედებულია „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმება (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმება.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება კომერციული ბანკის ჯგუფის შიგნით და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის გაცვლაზე.

საქართველოს 1996 წლის 21 მარტის კანონი №163 - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 03.04.1996 წ.,
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2474 - სსმ I, №20 11.07.2003 წ., მუხ.140
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი №213 - სსმ I, №17 28.07.2008 წ., მუხ.129
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5528 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.
საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2948 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4459 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 17 მაისის კანონი №853 - ვებგვერდი, 02.06.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი №3294 – ვებგვერდი, 09.08.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონი №4246 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 8 მაისის კანონი №4593 – ვებგვერდი, 08.05.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5228 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 დეკემბრის კანონი №1332 – ვებგვერდი, 13.01.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1802 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2144 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.

მუხლი 17^1. ინფორმაციის გადამოწმების უფლება

1. კომერციული ბანკი უფლებამოსილია პირისაგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანხმობის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისათვის გამოიყენოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

2. ბანკი ვალდებულია არ დაუშვას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული პირის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს 2008 წლის 21 მარტის კანონი №5978 - სსმ I, №9 04.04.2008 წ., მუხ.65
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 18. კომერციული ბანკის ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები

კომერციული ბანკის ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

თავი IV
საოპერაციო მოთხოვნები

მუხლი 19. საბანკო საქმიანობის ზოგადი პრინციპები

1. კომერციული ბანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე ეროვნული ბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. აუცილებელია ეროვნული ბანკის იმ წესების, ნორმატივებისა და ინსტრუქციების გამოქვეყნება, რომლებიც ერთზე მეტ კომერციულ ბანკს ეხება. ისინი მოქმედებს გამოქვეყნების დღიდან ან ამ წესებში, ნორმატივებსა და ინსტრუქციებში მითითებული შესაბამისი თარიღიდან. თუ არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების საბანკო საქმიანობის განხორციელების ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, კომერციული ბანკი მოქმედებს საერთაშორისო საბანკო ნორმებისა და ჩვევების შესაბამისად.

2. კომერციული ბანკი ინარჩუნებს კაპიტალისა და ლიკვიდური რესურსების სათანადო დონეს და ახდენს თავისი აქტივების დივერსიფიკაციას დანაკარგების რისკის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. საბანკო მომსახურების თაობაზე კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობის პირობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას, ბანკი ვალდებულია კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0.5 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

4. კომერციულ ბანკს უფლება აქვს, შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს მის მიერ კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე კონკრეტული საბანკო მომსახურების გაწევის დროს გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. აღნიშნული ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა მატერიალურ დოკუმენტს მოითხოვს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის ეროვნული ბანკისათვის წარდგენა სავალდებულო არ არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი საბანკო მომსახურების გაწევის დროს იყენებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოშვებული ელექტრონული პირადობის მოწმობის საშუალებით განხორციელებულ ხელმოწერას ან ხელმოწერას, რომლის სერტიფიკატი გაცემულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები არ ზღუდავს კომერციული ბანკის უფლებას, საბანკო მომსახურების გაწევის დროს გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ამ პუნქტის შესაბამისად გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის ეროვნულ ბანკთან შეთანხმება. თუ ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის მიერ წარდგენილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის

შეფასების შემდეგ უარს განაცხადებს ამ პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმებაზე, კომერციული ბანკი ვალდებულია შეწყვიტოს ასეთი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6019 – ვებგვერდი, 30.04.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 19[1]. გაჯანსაღების გეგმა

1. კომერციულმა ბანკმა უნდა შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ამ კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გაჯანსაღების გეგმა. გაჯანსაღების გეგმა სხვა ელემენტებთან ერთად უნდა მოიცავდეს იდიოსინკრატულ, სისტემურ და კომბინირებულ სტრესსცენარებს, კომერციული ბანკის ლიკვიდურობასთან ან/და გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად და ფინანსური სიჯანსაღის აღსადგენად მისაღებ შესაბამის ზომებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2. გაჯანსაღების გეგმას განიხილავს და აფასებს ეროვნული ბანკი. იგი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს გაჯანსაღების გეგმაში ცვლილებების შეტანა იმ მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ გეგმის განხორციელებას.

3. კომერციულმა ბანკმა ყოველწლიურად უნდა გადახედოს გაჯანსაღების გეგმას და საჭიროების შემთხვევაში უნდა განაახლოს იგი. გაჯანსაღების გეგმა უნდა განახლდეს, თუ კომერციული ბანკის საქმიანობა, სტრუქტურა, რისკების პოზიციები ან დაშვებები, რომლებიც გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისას იქნა გამოყენებული, არსებითად შეიცვალა. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს გაჯანსაღების გეგმის გადახედვა და განახლება.

4. ყველა კომერციული ბანკი და საბანკო ჯგუფში შემავალი საწარმო ვალდებულია ითანამშრომლოს ეროვნულ ბანკთან გაჯანსაღების გეგმის შემუშავების პროცესში. ეს თანამშრომლობა მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებასაც.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები და წესები ამ მუხლით გათვალისწინებულ გაჯანსაღების გეგმასთან დაკავშირებით. ეროვნული ბანკი ასევე უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები იმ კომერციული ბანკებისთვის, რომელთაც, მათი ზომის, სისტემურობისა და რისკის პროფილის გათვალისწინებით, შეიძლება გაჯანსაღების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით გამარტივებული/განსხვავებული მოთხოვნები დაუწესდეთ.

6. გაჯანსაღების გეგმა არ ზღუდავს ეროვნულ ბანკს, იმოქმედოს ამ გეგმისგან განსხვავებულად.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 20. საბანკო საქმიანობა

1. კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:

ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) დერივატივის დადება, საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);

ე[1]) უპროცენტო საბანკო მომსახურება;

ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;

ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;

ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

ი[1]) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;

ი[2]) ქონების იჯარით გაცემა;

ი[3]) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

ი[4]) ქონების ლიზინგით გაცემა;

კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;

ლ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და ამ მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებების განხორციელება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების განხორციელებამდე კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს შესაბამისი საბანკო პროდუქტის აღწერა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი[2]“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომერციული ბანკის მიერ ქონების იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ კომერციული ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში დასაკუთრებული უძრავი ქონების მართვის მიზნით ან/და იმ პირობით, რომ ქონება მთელი საიჯარო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ საბანკო საქმიანობის, მასთან დაკავშირებული საქმიანობის ან კომერციული ბანკის სოციალური პროექტების განსახორციელებლად იქნება გამოყენებული.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, კომერციულ ბანკს ეკრძალება უძრავი ქონების შეძენა ან ფლობა მისი იჯარით გაცემის მიზნით.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი[2]“ და „ი[4]“ ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დამატებითი/განსხვავებული კრიტერიუმები.

საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1751 - სსმ I, №1(8) 14.01.1999 წ., მუხ.4
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 10 აპრილის კანონი №6019 – ვებგვერდი, 30.04.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6306 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1792 - ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 21. ეკონომიკური ლიმიტები, ნორმატივები და ინდივიდუალური მოთხოვნები

1. კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი ეკონომიკური ლიმიტები:

ა) განთავსებული კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობები;

ბ) ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად;

გ) ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

დ) ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე (ინსაიდერზე, აუტსაიდერზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

ე) ბანკის მიერ ყველა ინსაიდერზე (ბანკთან, აგრეთვე ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

ვ) (ამოღებულია - 23.12.2018, №1895).

2. კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

ა) ლიკვიდური სახსრების მინიმალური ერთობლივი თანხის ან ასეთი სახსრების კონკრეტულ სახეობათა თანაფარდობა აქტივების (მიღებული გარანტიებისა და გირავნობის ჩათვლით) ღირებულებასთან ან მათი ღირებულების ცვლილებასთან. ასეთი თანაფარდობა შეიძლება დაწესდეს ზოგადად აქტივებთან ან ვალდებულებებთან (გარესაბალანსო ვალდებულებების ჩათვლით) ან მათ კონკრეტულ სახეობებთან დაკავშირებით. ბანკს აქვს ლიკვიდურობის დაცვის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ეროვნულ ბანკში შესაბამისი სახსრების განთავსების უფლება;

ბ) კრედიტებისა და ინვესტიციების ან მათი განსაკუთრებული სახეების მაქსიმალური ერთობლივი თანხის შესახებ;

გ) აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება, აგრეთვე ის ვადები და პირობები, რომლებითაც აქტივების მიხედვით მისაღები თანხები აღარ აღირიცხება შემოსავალში, გარდა ნაღდად მიღებულისა;

დ) აკრძალვების, შეზღუდვების ან პირობების შესახებ, რომლებიც ეხება:

დ.ა) გაცემული კრედიტებისა და განხორციელებული ინვესტიციების სახეობებსა და ფორმებს;

დ.ბ) აქტივებისა და ვალდებულებების (გარესაბალანსო და სხვა ვალდებულებების) მიხედვით დაბრუნების ვადებისა და პროცენტების შესაბამისობას;

დ.გ) დადგენილი ლიმიტების გადამეტებით წარმოქმნილ ღია პოზიციებს უცხოურ ვალუტაში, ძვირფას ლითონებში ან ძვირფას ქვებში.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, რისკზე დამყარებული ზედამხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე, თითოეული კომერციული ბანკის მიმართ დაადგინოს ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების ინდივიდუალური მაჩვენებლები და სხვა მოთხოვნები.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.

მუხლი 21[1]. კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოება

1. კომერციული ბანკი ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების შესაბამისად.

2. კომერციულმა ბანკმა თავისი მომსახურების მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემოწმებისას უნდა იცოდეს თავისი მომსახურების მომხმარებლის ვინაობა, საქმიანობა და ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე. კომერციული ბანკი აგრეთვე ვალდებულია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე განსაზღვროს კლიენტის საგადასახადო რეზიდენტობა და მოიპოვოს ინფორმაცია პირის შესაბამისი სტატუსის შესახებ.

2[1]. თუ კომერციული ბანკი არის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრული ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტი, იგი ვალდებულია აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული სათანადო პროცედურები განახორციელოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული „ანგარიშგების საერთო სტანდარტის“ თანახმად.

3. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია.

4. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების გაწევაზე. კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტს გაუხსნას „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანგარიში, თუ ამ ვალდებულების შესრულება არ იწვევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის დარღვევას.

5. კომერციული ბანკი უფლებამოსილია პირს ანგარიშის გახსნაზე უარი უთხრას ან არსებული ანგარიში დაუხუროს, თუ პირი უარს აცხადებს კომერციული ბანკისთვის „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური

ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.

საქართველოს 2007 წლის 27 მარტის კანონი №4519 - სსმ I, №9 31.03.2007 წ., მუხ.84
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4459 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5228 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1802 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2144 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.

მუხლი 22. აკრძალული გარიგებები და მუშაობის მეთოდები

1. (ამოღებულია - 16.09.2020, №7130).

2. კომერციულ ბანკს არ აქვს უფლება, რომელიმე კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების გაწევის პირობაა ამ ბანკის ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება, თუ კლიენტს არ მიეცა აღნიშნული არასაბანკო მომსახურების სხვა მომწოდებლისგან მიღების შესაძლებლობა.

3. კომერციული ბანკის მაკონტროლებელ პირს/ადმინისტრატორს ეკრძალება ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის შედეგად კომერციული ბანკისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ან/და რომელიც არასაბანკო სექტორში კონკურენციის შეზღუდვას გამოიწვევს.

4. კომერციული ბანკის მაკონტროლებელი პირი და ადმინისტრატორი ვალდებული არიან, უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და არ დაუშვან საკუთარი ინტერესების კომერციული ბანკის ინტერესებზე მაღლა დაყენება ან თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება. კომერციული ბანკის მაკონტროლებელ პირს/ადმინისტრატორს, რომელსაც ხელი მიუწვდება არასაჯარო ინფორმაციაზე, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარკვეული ინვესტიციის ღირებულებაზე, ეკრძალება ამ ინფორმაციის დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად გამოყენება.

5. ამ მუხლის მოთხოვნების შესასრულებლად კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს არასაჯარო ინფორმაციის მართვასთან დაკავშირებული ადეკვატური პოლიტიკის, პროცედურებისა და ტექნიკური სისტემების დანერგვა და მონიტორინგი. აღნიშნული უნდა უზრუნველყოფდეს კომერციულ ბანკთან, მის მაკონტროლებელ პირებთან და ადმინისტრატორებთან დაკავშირებული მხარეებისთვის ინფორმაციის არასათანადო გადინების შეზღუდვას.

6. ამ მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა).

7. ამ მუხლის მოთხოვნების შესასრულებლად ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის აქციონერებს, მაკონტროლებელ პირებსა და ადმინისტრატორებს სამართლებრივი აქტით დაუდგენს აკრძალულ გარიგებებსა და მათთან მუშაობის მეთოდებთან დაკავშირებულ წესებს და განუსაზღვრავს შესაბამის საზედამხედველო ზომებს ან/და სანქციებს (ფულად ჯარიმას).

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №6150 – ვებგვერდი, 25.05.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7130 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 23. გარიგებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია

1. კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადით შეინახოს მის ნებისმიერ გარიგებასთან დაკავშირებული ყველა საბუთი, კერძოდ:

ა) შუამდგომლობები და სახელშეკრულებო საბუთები, რომლებიც გარიგებას ეხება (კრედიტთან, გარანტიასთან და გირაოსთან დაკავშირებული შეთანხმებების ჩათვლით);

ბ) ბანკის პარტნიორების (მსესხებლებისა და გარანტორების ჩათვლით) ფინანსური ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მოწმობები, რომლებსაც ეყრდნობა ბანკი გარიგების დამტკიცებისას;

გ) გარიგების დამტკიცების შესახებ ბანკის გადაწყვეტილების ხელმოწერილი ჩანაწერი;

დ) ეროვნული ბანკის ნორმატივებით გათვალისწინებული სხვა საბუთები.

2. კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტების, მათ მიერ და მათ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახოს არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2830 - სსმ I, №19 13.04.2010 წ., მუხ.104
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 24. (ამოღებულია)
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125

მუხლი 25. გარიგებები დაინტერესებულ პირებთან
კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ შეღავათიანი პირობებით ნებისმიერი ადმინისტრატორისათვის, მაკონტროლებელი პირისათვის, მონათესავე საწარმოსათვის ან მათთან დაკავშირებულ პირთათვის საბანკო საქმიანობაში შემავალი ნებისმიერი პროდუქტის მიცემა ან ნებისმიერი საბანკო მომსახურების გაწევა სესხის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის, უზრუნველყოფის საშუალების, ღირებულების ან რაიმე სხვა პირობების მიუხედავად.
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160

თავი IV[1]
(ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2007 წლის 27 მარტის კანონი №4519 - სსმ I, №9 31.03.2007 წ., მუხ.84

მუხლი 25[1]. (ამოღებულია)
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4220 - სსმ I, №2 04.01.2007 წ., მუხ.27
საქართველოს 2007 წლის 27 მარტის კანონი №4519 - სსმ I, №9 31.03.2007 წ., მუხ.84

თავი V
ანგარიშები, აუდიტი, ანგარიშგება და ინსპექცია

მუხლი 26. ანგარიშები და საფინანსო ანგარიშგება
1. ბანკები, აგრეთვე მათი შვილობილი ორგანიზაციები სისტემატურად აწარმოებენ ანგარიშებსა და ჩანაწერებს და ადგენენ წლიურ საფინანსო ანგარიშგებას, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას. ამასთანავე, ისინი იცავენ ეროვნული ბანკის წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის დონეს და სააღრიცხვო ნორმებს.
2. ბანკების ანგარიშები, ჩანაწერები და საფინანსო ანგარიშგება კრებსით საფუძველზე ასახავს მათი შვილობილი ორგანიზაციების ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას.
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 27. აუდიტი
1. კომერციული ბანკი და მისი შვილობილი საწარმო ვალდებული არიან ყოველწლიურად მოიწვიონ აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატარონ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.
2. კომერციული ბანკი ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს აუდიტორული დასკვნა და გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულ დასკვნასთან ერთად.
საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 28. უცხოეთის ბანკის ფილიალი
ამ კანონის 26-ე, 27-ე და 29-ე მუხლების დებულებები ვრცელდება უცხოეთის ბანკის ფილიალსა და

შვილობილ ორგანიზაციაზე, რომლებიც საქართველოში საქმიანობას ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე ახორციელებენ. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ბანკის ფილიალის საფინანსო-საანგარიშგებო საბუთები შეიძლება წარდგენილ იქნეს გამარტივებული საფინანსო ანგარიშების სახით, რაც იმას გულისხმობს, რომ ბანკის ფილიალის აუდიტის კომიტეტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული უცხოეთის ბანკის აუდიტის კომიტეტი ან სხვა შესაბამისი ორგანო.

საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 29. ანგარიშგება და ინსპექტირება

1. კომერციული ბანკი ამზადებს და ეროვნულ ბანკს წარუდგენს ანგარიშგებებს, რომლებშიც ასახავს როგორც თვით კომერციული ბანკის, ისე მისი შვილობილი ორგანიზაციების ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო და საოპერაციო საქმიანობას, ლიკვიდურობას, გადახდისუნარიანობასა და მოგებიანობას თვით კომერციული ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის ერთობლივად და ცალ-ცალკე შეფასების მიზნით. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზნებისათვის კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს აგრეთვე შესაბამის ანგარიშგებას. ანგარიშგების ფორმა, ხარისხი და წარდგენის ვადა განისაზღვრება ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით.

2. კომერციული ბანკი და მისი შვილობილი ორგანიზაცია ექვემდებარება ინსპექტირებას, რომელსაც ახორციელებენ ეროვნული ბანკის ინსპექტორები ან ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული აუდიტორები. თუ ინსპექტირება ხორციელდება უცხოეთის ბანკის ფილიალში ან შვილობილ ორგანიზაციაში, აუდიტორები შეიძლება იყვნენ შესაბამის ქვეყანაში მოქმედი საფინანსო ან საკონტროლო ორგანოს მოსამსახურეები.

3. კომერციული ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციის ინსპექტირებისას ეროვნულ ბანკს და მის აუდიტორებს უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ კომერციული ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციის ანგარიშები, სახსრები, დავთრები, საბუთები და სხვა აუცილებელი ჩანაწერები;

ბ) მოსთხოვონ კომერციული ბანკის ადმინისტრატორებსა და თანამშრომლებს, მისი მონათესავე საწარმოს ადმინისტრატორებსა და თანამშრომლებს, მიაწოდონ კომერციული ბანკის აქციონერების, მაკონტროლებელი პირებისა და ადმინისტრატორების შესახებ ინფორმაცია და ოპერაციებსა და გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აგრეთვე კომერციული ბანკის/ადმინისტრატორის მიერ აღნიშნული ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით ან ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა).

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5228 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

თავი VI
ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომები და სანქცია (ფულადი ჯარიმა), ადრეული ინტერვენცია

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 30. ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომები და სანქცია (ფულადი ჯარიმა)

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკის, კომერციული ბანკის ადმინისტრატორის ან მაკონტროლებელი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა) ერთი ან რამდენიმე შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა) კომერციულმა ბანკმა, კომერციული ბანკის ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია:

ა.ა) ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;

ა.ბ) რომელიმე პირობა ან შეზღუდვა, რომელიც ერთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიას ან ეროვნული ბანკის შესაბამის დებულებას;

ა.გ) ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;

ა.დ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ა.ე) „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ა.ვ) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ა.ვ[1]) „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ა.ზ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, რითაც შეაფერხა ეროვნული ბანკის საზედამხედველო პროცესის განხორციელება;

ბ) კომერციული ბანკი არაჯანსაღ ან საფრთხის შემქმნელ საბანკო პრაქტიკაში იყო ჩართული ან ჩართულია;

გ) საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესში (მათ შორის, რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში) რისკები გამოვლინდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის გამოვლენისას ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თანამიმდევრულად ან არათანამიმდევრულად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საზედამხედველო ზომა:

ა) კომერციულ ბანკს, კომერციული ბანკის ადმინისტრატორს ან/და მაკონტროლებელ პირს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა;

გ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, გაჯანსაღების გეგმის, კონტროლის სისტემებისა და სტრატეგიების გადახედვა და გაუმჯობესება;

დ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები, კომერციულ ბანკს შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს გარკვეული ტიპის ოპერაციების განხორციელება ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ კომერციულმა ბანკმა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და ჯანსაღ საბანკო პრაქტიკასთან შესაბამისობა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები, რის თაობაზედაც ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კომერციულ ბანკს შესაბამისი გეგმის წარმოდგენა;

ე) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს აქტივების დარეზერვებასთან ან კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის აქტივებთან დაკავშირებული კონკრეტული მიდგომის გამოყენება;

ვ) კომერციული ბანკის ერთ ან რამდენიმე ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შემთხვევაში – კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრებას მოსთხოვოს ადმინისტრატორის (ადმინისტრატორების) თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან თანამდებობიდან გათავისუფლება;

ზ) კომერციულ ბანკს შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების განაწილება, დივიდენდებისა და პრემიების გაცემა, ხელფასების გაზრდა და დეპოზიტების მოზიდვა;

„თ) შეუჩეროს ხმის უფლება კომერციული ბანკის მაკონტროლებელ პირს ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელს მაკონტროლებელი პირის ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელის მხრიდან ეროვნული ბანკისთვის საფინანსო ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან საქართველოს კანონმდებლობის სხვა დარღვევის, მათ შორის, ამ კანონის 8[1] მუხლით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმთან/კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ, ეროვნული ბანკის შეფასებით, მაკონტროლებელი პირი ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციების ფლობიდან გამომდინარე საკუთარ უფლებამოსილებას ბანკის ინტერესების საზიანოდ იყენებს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაუქმების ან შეზღუდვის პირობებსა და ვადებს ადგენს ეროვნული ბანკი არსებული გარემოებებიდან გამომდინარე;“.

ი) კომერციული ბანკის მაკონტროლებელ პირს მოსთხოვოს კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა მაკონტროლებელი პირის მიერ ეროვნული ბანკისთვის საფინანსო ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან სხვა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. ასეთ გაუქმებას ან შეზღუდვას უნდა ახლდეს პირობები და ვადები, რომლებსაც ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს არსებული გარემოებებიდან გამომდინარე;

კ) კომერციულ ბანკს შეუზღუდოს ან აუკრძალოს გარკვეული ტიპის საქმიანობების, ოპერაციების განხორციელება, მათ შორის, მოსთხოვოს მას ცალკეული საქმიანობების ან ბიზნესმიმართულებების გასხვისება, თუ აღნიშნული გადაჭარბებულ რისკებს ქმნის ან/და კომერციული ბანკის ჯანსაღ ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის;

ლ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს საქმიანობასთან, პროდუქტებთან ან/და სისტემებთან დაკავშირებულ რისკებზე შესაბამისი რეაგირება;

მ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ცვალებადი ანაზღაურების იმ მოცულობით შემცირება, რომელიც აუცილებელია კაპიტალის ადეკვატურობის დადგენილი კოეფიციენტების დასაცავად და სხვა ნორმატივების შესასრულებლად;

ნ) კომერციულ ბანკს შეუზღუდოს ან/და აუკრძალოს მისი აქციონერებისთვის ან/და დამატებითი პირველადი კაპიტალის მფლობელებისთვის კაპიტალის განაწილება ან/და სარგებლის გაცემა;

ო) კომერციულ ბანკს დაუდგინოს დამატებითი მოთხოვნები საზედამხედველო ანგარიშგებასთან დაკავშირებით;

პ) კომერციულ ბანკს დაუწესოს ლიკვიდურობის ინდივიდუალური მოთხოვნები, მათ შორის, შეზღუდვები

აქტივებსა და ვალდებულებებს შორის განსხვავებულ ვადიანობაზე;

ჟ) კომერციულ ბანკს დაუწესოს გამჟღავნების დამატებითი მოთხოვნები;

რ) კომერციულ ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას ან/და იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად უარესდება ან ახლო მომავალში გაუარესდება, რაც, მათ შორის, შეიძლება გამოიხატებოდეს კაპიტალის ან ლიკვიდურობის მდგომარეობის გაუარესებით, ლევერიჯის, უმოქმედო სესხების ან რისკის პოზიციების კონცენტრაციის ზრდით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომების მიღების გარეშე ან ამ ზომებთან ერთად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საზედამხედველო ზომა:

ა) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს გაჯანსაღების გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ზომის მიღება;

ბ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ;

გ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს თავის ბიზნესსტრატეგიაში ან ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა;

დ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელიც, კომერციული ბანკის გადაწყვეტილებით, შეიძლება მოიცავდეს სასესხო ვალდებულებების პირობებზე მოლაპარაკებების ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის მიერ კომერციული ბანკის პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით ვალდებულებების აღების საკითხებს;

ე) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ან/და ადგილზე შემოწმების შედეგად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია რეზოლუციის გეგმის გასაახლებლად;

ვ) კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს მოსთხოვოს კომერციული ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების განსახილველად და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ კომერციული ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავად მოიწვიოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება თავის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და მას მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების განხილვა და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან/და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საზედამხედველო ზომასთან ერთად ან ამ ზომის მიღების გარეშე კომერციულ ბანკს, კომერციული ბანკის ადმინისტრატორს ან/და მაკონტროლებელ პირს დააკისროს სანქცია (ფულადი ჯარიმა) თავის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალისა.

5. ამ მუხლით განსაზღვრული სანქციის (ფულადი ჯარიმის) თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. მხარეს, რომლის მიმართაც საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა) გამოიყენება, უფლება აქვს, იგი სასამართლოში გაასაჩივროს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1796 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

მუხლი 30[1]. ადრეული ინტერვენცია

1. თუ ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით ან/და მე-3 პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას საზედამხედველო ზომების გამოყენებამ შედეგი არ გამოიღო ან თუ, ეროვნული ბანკის შეფასებით, ამ ზომების მიღება შესაბამისი შედეგის მისაღწევად საკმარისი არ იქნება, კომერციული ბანკისა და საფინანსო სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშესაწყობად და კომერციული ბანკის დეპოზიტართა ან სხვა კრედიტორთა ინტერესების დასაცავად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომების მიღების გარეშე ან ამ ზომების მიღებასთან ერთად დანიშნოს დროებითი ადმინისტრატორი. დროებითი ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს, ამასთანავე, არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ეროვნული ბანკი გამოსცემს კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ეს აქტი სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვრავდეს დროებითი ადმინისტრატორის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან. კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება აგრეთვე ბეჭდვით ორგანოში. დროებითი ადმინისტრატორი მოვალეობათა შესრულებას იწყებს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან.

2. დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილია დროებით იმუშაოს კომერციული ბანკის არსებულ ადმინისტრატორებთან ერთად ან ჩაანაცვლოს ისინი. თუ დროებითი ადმინისტრატორი თავის უფლებამოსილებებს კომერციული ბანკის ადმინისტრატორებთან ერთად ახორციელებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკის ადმინისტრატორებს გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღებად განუსაზღვროს დროებითი ადმინისტრატორის თანხმობის მიღების ვალდებულება. დროებით ადმინისტრატორზე არ გადადის კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილებები. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, დროებითი ადმინისტრატორის ზოგიერთი გადაწყვეტილება შეიძლება ეროვნული ბანკისგან წინასწარი თანხმობის მიღებას საჭიროებდეს. ეროვნული ბანკისგან წინასწარი თანხმობის მიღების ვალდებულება შეიძლება განისაზღვროს როგორც დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნისას, ისე მის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების სხვა ეტაპზე. თანხმობა არ მოითხოვება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დროებითი ადმინისტრატორი თანამდებობიდან გაათავისუფლოს ნებისმიერ დროს ნებისმიერი საფუძვლით.

3. დროებითი ადმინისტრატორი ინიშნება არაუმეტეს 1 წლის ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ, ეროვნული ბანკის შეფასებით, დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის საფუძველი არ აღმოფხვრილა, ეს ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილებები და მისი დანიშვნის წესი.

5. მხარეს, რომლის მიმართაც ადრეული ინტერვენციის ზომა გამოიყენება, უფლება აქვს, იგი სასამართლოში გაასაჩივროს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 30^2. პროპორციულობის პრინციპი

1. ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის 30-ე და 30^1 მუხლების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საზედამხედველო ზომის, სანქციის (ფულადი ჯარიმის) ან ადრეული ინტერვენციის ზომის გამოყენების საფუძვლების პროპორციული უნდა იყოს. საზედამხედველო ზომის, სანქციის (ფულადი ჯარიმის) ან ადრეული ინტერვენციის ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნული ბანკი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ამ კანონის 30-ე და 30^1 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლების სერიოზულობას. ამ მიზნით ეროვნული ბანკი, სულ მცირე, აფასებს კომერციული ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის დონეს მისი რისკების მიმართ, კომერციული ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე იმავე მუხლებით განსაზღვრული საფუძვლების ეფექტს, მასშტაბს, ოდენობას, მათ ურთიერთმიმართებას, ხანგრძლივობასა და სიხშირეს, კომერციული ბანკის საქმიანობის კანონიერებას ან/და კომერციული ბანკის აქტივებისთვის ზარალის მიყენების შესაძლო საფრთხეს;

ბ) კომერციული ბანკის მზადყოფნასა და რესურსს, აღმოფხვრას ამ კანონის 30-ე და 30^1 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლები. ამ მიზნით ეროვნული ბანკი, სულ მცირე, აფასებს კომერციული ბანკის ადმინისტრატორების შესაძლებლობას, გამოავლინონ და შეაფასონ კომერციული ბანკის რისკები, მონიტორინგი გაუწიონ მათ და მართონ ისინი. იგი ასევე აფასებს, რამდენად ეფექტიანად აღმოიფხვრება იმავე მუხლებით განსაზღვრული საფუძვლები და რამდენად თანამშრომლობენ კომერციული ბანკი, მისი ადმინისტრატორები და მაკონტროლებელი პირები ეროვნულ ბანკთან;

გ) იმას, თუ რამდენად ექმნება საფრთხე ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას. ამ მიზნით ეროვნული ბანკი აფასებს და ითვალისწინებს კომერციული ბანკის სისტემურობასა და მის ზომას, აგრეთვე მის ურთიერთმიმართებას საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებთან, კომერციული ბანკის ფუნქციების ჩანაცვლებადობას, საქმიანობის სფეროებსა და კომპლექსურობას.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება საზედამხედველო ზომის, სანქციის (ფულადი ჯარიმის) და ადრეული ინტერვენციის ზომის ფულის გათეთრების აღკვეთის ხელშეწყობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისთვის გამოყენების შემთხვევებზე.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

თავი VII
რეზოლუცია და ლიკვიდაცია

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 31. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125

მუხლი 32. რეზოლუციის პრინციპები

ეროვნული ბანკი რეზოლუციის რეჟიმს წარმართავს რეზოლუციის შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) კომერციული ბანკის აქციონერები პირველად ზარალს იღებენ. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა;

ბ) კომერციული ბანკის კრედიტორები ზარალს იღებენ აქციონერების შემდეგ, ლიკვიდაციისას დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით, გარდა ამ კანონის 37^{11} მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომერციული ბანკის ერთი და იმავე რიგის კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, გარდა ამ კანონის 37^{11} მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) რეზოლუციის საბოლოო შედეგით, ამ კანონის 37^{11} მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, კომერციული ბანკის აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ე) კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრები უნდა გათავისუფლდნენ თანამდებობებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, ეროვნული ბანკის შეფასებით, მათი თანამდებობებზე დატოვება აუცილებელია არსებული გარემოებების გათვალისწინებით;

ვ) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტები დაცული უნდა იყოს;

ზ) რეზოლუციის გეგმის შემუშავებისას მიღებული გადაწყვეტილება, კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება, კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობისას მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებები, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55^{1} მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნების მისაღწევად პროპორციული უნდა იყოს.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 33. რეზოლუციის გეგმა

1. ეროვნული ბანკი აფასებს თითოეული კომერციული ბანკის ეფექტური რეზოლუციის შესაძლებლობას. კომერციული ბანკის ეფექტური რეზოლუციის შესაძლებლობის განსაზღვრისას ეროვნული ბანკი აფასებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების ან კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მიზანშეწონილობას.

2. ეროვნული ბანკი ადგენს რეზოლუციის გეგმებს იმ კომერციული ბანკებისთვის, რომელთა მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას მიზანშეწონილია ლიკვიდაციის ნაცვლად რეზოლუციის რეჟიმის შემოღება. რეზოლუციის გეგმა უნდა მოიცავდეს შესაბამის სარეზოლუციო ინსტრუმენტებსა და სარეზოლუციო უფლებამოსილებებს, რომლებსაც ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობისას გამოიყენებს.

3. თუ ეროვნულმა ბანკმა მოახდინა კომერციული ბანკის რეზოლუციის განხორციელების შემაფერხებელი არსებითი გარემოებების იდენტიფიცირება, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს, წარმოადგინოს გეგმა ამ გარემოებების აღმოსაფხვრელად. თუ კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილი გეგმა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრას, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს ამ მიზნის მისაღწევად აძლევს კონკრეტულ მითითებებს და მათ შესასრულებლად განუსაზღვრავს შესაბამის ვადას. კომერციული ბანკი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა აღნიშნული მითითებების შესასრულებლად. ეროვნული ბანკის მითითებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ზომებს:

ა) კომერციული ბანკის მაქსიმალური ინდივიდუალური საერთო რისკის პოზიციების შეზღუდვას;

ბ) რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე, დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნას;

გ) განსაზღვრული აქტივების გასხვისების მოთხოვნას;

დ) კომერციული ბანკის მიმდინარე ან/და დაგეგმილი საქმიანობის/პროდუქტის შეზღუდვას ან შეწყვეტას;

ე) კომერციული ბანკის/საბანკო ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაში, ორგანიზაციულ სტრუქტურაში ან/და მფლობელობის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების მოთხოვნას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე მფლობელობის სტრუქტურის გამარტივებას ან/და საქართველოს ტერიტორიაზე მშობელი საწარმოს ან შვილობილი საწარმოს დაფუძნებას, რეზოლუციის პროცესში კომერციული ბანკის/საბანკო ჯგუფის კრიტიკული ფუნქციების უწყვეტობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად;

ვ) ნებადართული კაპიტალის შესაბამისი ოდენობის მუდმივად დაცვის მოთხოვნას იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს რეზოლუციის პროცესში ახალი აქციების ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტების გამოშვება;

ზ) ამ კანონის 37^{10} მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული დაშვებული ვალდებულებებისა და

კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნების დაწესებასა და დაცვას.

4. ეროვნულმა ბანკმა ყოველწლიურად უნდა გადახედოს რეზოლუციის გეგმას და საჭიროების შემთხვევაში უნდა განაახლოს იგი. რეზოლუციის გეგმა უნდა განახლდეს, თუ კომერციული ბანკის საქმიანობა ან/და ორგანიზაციული სტრუქტურა ან ფინანსური მდგომარეობა შეიცვალა, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს რეზოლუციის გეგმის შინაარსზე ან/და განხორციელებაზე.

5. ყველა კომერციული ბანკი და საბანკო ჯგუფი ვალდებულია ითანამშრომლოს ეროვნულ ბანკთან და ხელი შეუწყოს მას რეზოლუციის გეგმის შემუშავების პროცესში, რაც, მათ შორის, მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებას.

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს დამატებითი ან/და გამარტივებული მოთხოვნები და წესები სარეზოლუციო დაგეგმვასთან დაკავშირებით. ეროვნული ბანკი ასევე უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები იმ კომერციული ბანკებისთვის, რომელთაც, ზომის, სისტემურობისა და რისკის პროფილის გათვალისწინებით, შეიძლება სარეზოლუციო დაგეგმვასთან დაკავშირებით გამარტივებული მოთხოვნები დაუწესდეთ.

7. რეზოლუციის გეგმა არ ზღუდავს ეროვნულ ბანკს, იმოქმედოს ამ გეგმისგან განსხვავებულად.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11. 2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6306 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №880 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.

მუხლი 34. რეზოლუციის პირობები და კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიიღოს კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას (გარდა იმავე მუხლის „გ“, „დ“, „ვ“, „თ“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან/და ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ რეზოლუციის რეჟიმის შემოღება აუცილებელია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე. რეზოლუციის რეჟიმის შემოღებამდე ეროვნული ბანკი დროისა და სხვა, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით აფასებს, რამდენად არსებობს კერძო სექტორის მიერ ან/და ადრეული ინტერვენციის ზომის ან/და საზედამხედველო ზომების გამოყენების საშუალებით ამ პუნქტით გათვალისწინებული რეზოლუციის საფუძვლების გონივრულ ვადაში სრულად აღმოფხვრის შესაძლებლობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოისმინოს კომერციული ბანკის წინადადებები რეზოლუციის რეჟიმის შემოღების საფუძვლების აღმოფხვრის შესახებ, თუ, ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის, საკითხის გადაუდებელი ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის შეფასებით, ეს საფრთხეს არ შეუქმნის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნების მიღწევას.

3. ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის 30-ე და 30[1] მუხლებით გათვალისწინებული ადრეული ინტერვენციის ზომის ან/და საზედამხედველო ზომების გამოყენება რეზოლუციის რეჟიმის შემოღების აუცილებელი წინაპირობა არ არის.

4. ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან რეზოლუციის რეჟიმი შემოღებულად ჩაითვლება. კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას რეზოლუციის რეჟიმის შემოღების საფუძვლების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომერციულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორის კომიტეტს. კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. ამ გადაწყვეტილების შესახებ სხვა ინფორმაცია კონფიდენციალურობის წესების დაცვით ქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე. კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან შესაბამისი ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებულად ჩაითვლება.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11.2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6306 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 35. კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმის ხანგრძლივობა და დასრულება

1. რეზოლუციის რეჟიმი შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 12 თვისა. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ეს ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 12 თვით. რეზოლუციის რეჟიმის ვადის გაგრძელების შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს მისი გაგრძელების საფუძველი. ეს გადაწყვეტილება კონფიდენციალურობის წესების დაცვით უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემთხვევაში;

ბ) ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, რეზოლუციის რეჟიმის შემოღების საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში;

გ) კომერციული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში.

3. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში ამ კანონის 37^{12} მუხლის მე-7 პუნქტი არ ვრცელდება ამ თავის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

4. ეს მუხლი არ ვრცელდება დროებით ბანკზე.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11.2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 36. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11.2001 წ., მუხ.125

მუხლი 37. სპეციალური მმართველი

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ კანონით მისთვის მინიჭებული სარეზოლუციო უფლებამოსილებები უშუალოდ განახორციელოს ან დანიშნოს ერთი ან რამდენიმე სპეციალური მმართველი. სპეციალურ მმართველად შეიძლება დაინიშნოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი. სპეციალური მმართველი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

2. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს სპეციალური მმართველის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, რომელთა ფარგლებშიც სპეციალურ მმართველს შეუძლია განახორციელოს კომერციული ბანკის სრული კონტროლი და მასზე შეიძლება გადავიდეს კომერციული ბანკის ყველა ორგანოს სრული უფლებამოსილება.

3. კომერციული ბანკის სპეციალური მმართველი უფლებამოსილია, „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ქმედების/გარიგების და „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროგრამასთან დაკავშირებული ქმედების/გარიგების გარდა, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს სპეციალური მმართველის დანიშვნის თარიღამდე 1 წლის განმავლობაში კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ განხორციელებული ქმედება ან დადებული გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ ამ ქმედების/გარიგების შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე ქონებრივი სარგებელი მიიღო ან რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით ისარგებლა, რამაც კომერციულ ბანკს ან მის კრედიტორებს ზიანი მიაყენა.

4. სპეციალური მმართველი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ინსტრუქციებისა და მითითებების ფარგლებში. სპეციალური მმართველი ანგარიშვალდებულია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინაშე. სპეციალური მმართველი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით და დადგენილ ვადაში, რეგულარულად ან/და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს ეროვნულ ბანკს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ნებისმიერი საფუძვლით გაათავისუფლოს სპეციალური მმართველი და სპეციალურ მმართველად დანიშნოს სხვა პირი თავის მიერ დადგენილი წესით. სპეციალური მმართველის პასუხისმგებლობა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხები რეგულირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. სპეციალური მმართველი იღებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შრომის ანაზღაურებას. ყველა ხარჯს, მათ შორის, სპეციალური მმართველის შრომის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშობა სპეციალური მმართველის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელებისას, აანაზღაურებს

რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკი.

6. თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკს საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაუუქმდება და დაიწყება მისი ლიკვიდაციის პროცესი, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, სპეციალური მმართველი შეიძლება კომერციული ბანკის ლიკვიდატორად დაინიშნოს.

საქართველოს 2001 წლის 23 ოქტომბრის კანონი № 1115 - სსმ I, № 32 07.11.2001 წ., მუხ.125
საქართველოს 2006 წლის 17 მარტის კანონი №2787 - სსმ I, №8 24.03.2006 წ., მუხ.59
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2830 - სსმ I, №19 13.04.2010 წ., მუხ.104
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5002 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6306 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4189 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №439 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 17 მაისის კანონი №853 - ვებგვერდი, 02.06.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1895 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

მუხლი 37[1]. კომერციული ბანკის კონტროლი რეზოლუციის რეჟიმში

1. რეზოლუციის რეჟიმის შემოღებისთანავე კომერციული ბანკის ყველა ორგანოს სრული უფლებამოსილება ეროვნულ ბანკზე გადადის. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკის ორგანოებს დააკისროს გარკვეული ქმედებების განხორციელების ვალდებულება ამ კანონის შესაბამისად. ბათილია კომერციული ბანკის მიერ, სპეციალური მმართველის მიერ ან კომერციული ბანკის სახელით რეზოლუციის რეჟიმში მიღებული ყველა გადაწყვეტილება/განხორციელებული ყველა ქმედება, თუ ისინი მიღებული/განხორციელებული არ არის ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. რეზოლუციის რეჟიმის შემოღებისთანავე ეროვნულ ბანკს შეუზღუდავად უნდა მიუწვდებოდეს ხელი კომერციული ბანკის აქტივებზე, საბუღალტრო ანგარიშებსა და ჩანაწერებზე. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიიღოს მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა ზომა, მათ შორის, ნებისმიერ პირს გაუუქმოს ან შეუზღუდოს კომერციული ბანკის სახელით მოქმედების უფლებამოსილება.

3. რეზოლუციის რეჟიმის შემოღებისთანავე დაუშვებელია კომერციული ბანკის სახელით ნებისმიერი ქმედების განხორციელება სპეციალური მმართველის ან/და ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე, გარდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

მუხლი 37[2]. გადახდების განხორციელების შეჩერება და სამართლებრივი პროცედურების განხორციელების შეზღუდვა რეზოლუციის რეჟიმში

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობისას შეაჩეროს კომერციული ბანკის აქციონერებისთვის კაპიტალის განაწილება, აგრეთვე ადმინისტრატორების ანაზღაურების (გარდა რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობისას ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მომსახურებების განხორციელებისთვის გადასახდელი ანაზღაურებისა) გაცემა.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შემოიღოს მორატორიუმი კომერციული ბანკის ვადამოსული გადახდების ან მათი ნაწილის მიმართ, გარდა დაზღვეულ დეპოზიტებთან დაკავშირებული, აგრეთვე საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების ან ამ სისტემების მონაწილეთა მიმართ გადახდებისა, საგადახდო სისტემაში მონაწილეობიდან გამომდინარე გადახდებისა, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იპოთეკური ობლიგაციებიდან და რეფინანსირების ინსტრუმენტიდან გამომდინარე გადახდებისა და ეროვნული ბანკის მიმართ არსებული გადახდებისა. მორატორიუმის ვადა 90 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ მიმდინარე საქმის წარმოების დროებით შეჩერების მოთხოვნით ან/და, ახალი საქმის წარმოებაში მიღების შემთხვევაში, – საქმის განხილვის გადავადების მოთხოვნით. აღნიშნული შეჩერება/გადავადება 90 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

4. ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ ჩერდება ან/და მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი იძულებითი აღსრულების ღონისძიება (მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები), აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებები (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გირავნობა და იპოთეკა) 90 კალენდარული დღის

განმავლობაში.

5. რეზოლუციის რეჟიმის შემოღება და რომელიმე სარეზოლუციო უფლებამოსილების გამოყენება არ შეიძლება გახდეს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო უფლების ან ვალდებულების შეწყვეტის, შეცვლის ან/და დაჩქარების საფუძველი. რეზოლუციის რეჟიმის შემოღება და რომელიმე სარეზოლუციო უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა გახდეს „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსური გირავნობის ამოქმედების საფუძველი, თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკი ჯეროვნად ასრულებს ვალდებულებებს.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

მუხლი 37^3. კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასება

1. კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, კერძოდ, ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლების არსებობის დასადგენად, ეროვნული ბანკი აღრიცხავს კომერციული ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს ბუღალტრული აღრიცხვისა და პრუდენციული საზედამხედველო მოთხოვნების შესაბამისად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასება. დამოუკიდებელი შეფასების არარსებობა ხელს არ უშლის ეროვნულ ბანკს, მიიღოს ამ კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აღრიცხვასთან ერთად კომერციული ბანკის მიმართ გამოსაყენებელი სათანადო სარეზოლუციო უფლებამოსილებებისა და სარეზოლუციო ინსტრუმენტების შესარჩევად, აგრეთვე ამ ინსტრუმენტების გამოყენების პირობების განსასაზღვრავად ხორციელდება კომერციული ბანკის აქტივების, მათ შორის, აქტივებზე დარიცხული ზარალისა და ვალდებულებების, შეფასება (სრულყოფილი შეფასება). შეფასების რამდენიმე მეთოდის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება ის მეთოდი, რომლის შედეგადაც შეფასების ყველაზე ნაკლები ღირებულება მიიღება (კონსერვატიული მიდგომა).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება აგრეთვე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის ზარალს მიიღებდნენ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების მფლობელები (აქციონერები) და ამ კანონის 37^{12} მუხლით განსაზღვრულ კრედიტორთა თითოეული რიგი. აღნიშნული შეფასება არ გამოიყენება იმ კომპენსაციის ოდენობის განსასაზღვრავად, რომელიც შეიძლება გაიცეს აქციონერებზე ან/და კრედიტორებზე, თუ ამ შეფასების შედეგად დადასტურდება, რომ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციონერები ან/და კრედიტორები იმაზე ნაკლებად იზარალებდნენ, ვიდრე მათ იზარალეს ამ კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღებით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასების განსახორციელებლად ეროვნული ბანკი ნიშნავს დამოუკიდებელ შემფასებელს. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასება, თუ დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასების განხორციელება შეუძლებელია შესაბამის გარემოებათა გამო, მათ შორის, საკითხის გადაუდებელი ხასიათიდან გამომდინარე, ან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნების მიღწევას საფრთხე ემუქრება. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შემოიღოს რეზოლუციის რეჟიმი, მიიღოს ნებისმიერი სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება და განახორციელოს სარეზოლუციო უფლებამოსილებები შუალედური შეფასების საფუძველზე. თუ შუალედური შეფასება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიზნით ხორციელდება, ეროვნულმა ბანკმა უნდა გაითვალისწინოს დამატებითი დანაკარგების რეზერვი შესაბამის დასაბუთებასთან ერთად.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შეფასების, მათ შორის, შუალედური შეფასების, განხორციელების შემდეგ ეროვნული ბანკი ვალდებულია შესაძლებლობისთანავე უზრუნველყოს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასების განხორციელება. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დამოუკიდებელი შეფასების შედეგების გათვალისწინებით განახორციელოს დამატებითი სარეზოლუციო უფლებამოსილებები, მათ შორის, გაზარდოს კომერციული ბანკის აქციონერთა და კრედიტორთა მიერ მისაღები ზარალის ოდენობა, აღადგინოს ჩამოწერილ მოთხოვნათა ნაწილი, დამატებით განახორციელოს აქტივების ან/და ვალდებულებების გადაცემა ან დაიბრუნოს მანამდე გადაცემული აქტივები ან/და ვალდებულებები, გაზარდოს ან შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც გადახდილ იქნა აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ინსტრუმენტის გამოყენებისას ან დროებითი ბანკის გასხვისებისას.

6. ეროვნული ბანკი ადგენს ამ მუხლით გათვალისწინებული კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასების განხორციელების წესებს, პროცედურებსა და მეთოდოლოგიას, მათ შორის, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გასათვალისწინებელ კონსერვატიულ დათქმებს და დამოუკიდებელი შემფასებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასება სარეზოლუციო ინსტრუმენტის ან/და სარეზოლუციო უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია და იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ამ გადაწყვეტილებასთან ერთად, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[4]. რეკაპიტალიზაცია რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერით ან აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაციით

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ჩამოწეროს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციები ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტები ან განახორციელოს აღნიშნული ინსტრუმენტების კომერციული ბანკის აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაცია. ეს უფლებამოსილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებლად ან სხვა სარეზოლუციო ინსტრუმენტებთან ერთად.

2. ამ კანონის 32-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეზოლუციის პრინციპების შესრულების მიზნით აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერა ან აღნიშნული ინსტრუმენტების აქციებში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს იმ სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებამდე, რომლის შედეგადაც სხვა კრედიტორები (გარდა აქციონერებისა და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების მფლობელებისა) მიიღებდნენ პირველად ზარალს. ეროვნულმა ბანკმა შეიძლება აღნიშნული უფლებამოსილება არ გამოიყენოს, თუ განხორციელდება კომერციული ბანკის აქტივების ან/და ვალდებულებების ნაწილობრივ გადაცემა და კომერციული ბანკის ბალანსზე დარჩენილი აქციებისა და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ღირებულება დაფარავს არსებულ ზარალს.

3. საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების ჩამოწერა ან მათი აქციებში კონვერტაცია უნდა დაეფუძნოს კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასებას ამ კანონის 37[3] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს ლიკვიდაციის პროცესში დადგენილი მოთხოვნების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით, რათა უზრუნველყოს:

ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ნომინალური ღირებულების შემცირება ზარალის პროპორციულად ან/და საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების გაუქმება ან/და გადაცემა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტების გარდა, საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ნომინალური ღირებულების შემცირება ან/და კომერციული ბანკის ჩვეულებრივ აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაცია.

5. საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების ჩამოწერის ან კომერციული ბანკის აქციებში კონვერტაციის შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

6. დროებითი სახელმწიფო დაფინანსების განხორციელებამდე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი პირობებით კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ჩვეულებრივი აქციების გამოშვება შესაბამისი კაპიტალის ინსტრუმენტების მფლობელთა მიერ მათ შესაძენად.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[5]. ეროვნული ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტები

1. ეროვნულ ბანკს სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელებისას შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი სარეზოლუციო ინსტრუმენტი:

ა) კომერციული ბანკის შერწყმა;

ბ) კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება;

გ) კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის გადაცემა;

დ) კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით;

ე) კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით.

2. ეროვნული ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენება არ საჭიროებს კომერციული ბანკის/დროებითი ბანკის აქციონერების, მოვალეების, კრედიტორების თანხმობას. ამასთანავე, ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებამდე საჭირო არ არის რაიმე წინასწარი შეტყობინება, გამოქვეყნება ან/და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ემისიის პროსპექტის დამტკიცება.

3. რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობის შეფერხების თავიდან ასაცილებლად შეიძლება კომერციული ბანკის, როგორც სამართალსუბიექტის, საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები გათვალისწინებული არ იქნეს.

4. რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს საზედამხედველო პროცესში ამ კანონით გათვალისწინებული თანხმობის გაცემის გამარტივებული წესები სარეზოლუციო ინსტრუმენტების ეფექტურად გამოსაყენებლად.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სარეზოლუციო ინსტრუმენტთან დაკავშირებით მისაღებ ან მიღებულ

გადაწყვეტილებაში ცვლილებები შეიტანოს ან ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება სხვა სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[6]. კომერციული ბანკის შერწყმა

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის სხვა ბანკთან შერწყმა. აღნიშნული შერწყმის შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ძალაში შედის, მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა/პროცედურებისა.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[7]. კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შემძენზე (გარდა დროებითი ბანკისა) სრულად ან ნაწილობრივ გაასხვისოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციები, აქტივები ან/და ვალდებულებები.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტი რამდენჯერმე გამოიყენოს, აგრეთვე შემძენის თანხმობით, თავის მიერ წინასწარ დადგენილ ვადაში გამოითხოვოს შემძენზე გასხვისებული რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციები, აქტივები ან/და ვალდებულებები და დაუბრუნოს ისინი რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკს.

3. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების შედეგად მიღებული თანხა გადაეცემა ამ კომერციული ბანკის აქციონერებს ან რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკს მას შემდეგ, რაც ანაზღაურდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სარეზოლუციო ფონდის ხარჯები (ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში).

4. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა/პროცედურებისა. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების შემძენი არის ამ კომერციული ბანკის აქციონერი, ხოლო რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქტივების ან/და ვალდებულებების შემძენი – რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის უფლებამონაცვლე თითოეულ გასხვისებულ აქტივთან და ვალდებულებასთან მიმართებით. თუ შემძენი არ აკმაყოფილებს საგადახდო, საკლირინგო და ანგარიშსწორების სისტემებში მონაწილეობისთვის ან საფონდო ბირჟაზე დაშვებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, იგი აღნიშნულ სისტემებში/საფონდო ბირჟაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს არაუმეტეს 24 თვისა.

5. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციონერებსა და კრედიტორებს, აგრეთვე სხვა მესამე პირებს, რომელთა აქციები, აქტივები ან/და ვალდებულებები არ გასხვისებულა, არ აქვთ უფლებები გასხვისებული აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების მიმართ.

6. შემძენი ვალდებულია ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო პროცესში მისგან მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო თანხმობა. შემძენისთვის დეპოზიტების გადაცემის შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს მოქმედი საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

7. თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების შედეგად აღნიშნული კომერციული ბანკის კაპიტალში შემძენის (მათ შორის, ბენეფიციარი მესაკუთრის) პირდაპირი/არაპირდაპირი მონაწილეობა 10, 25 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ეროვნული ბანკი ამ კანონის 8[1] მუხლით დადგენილი წესით აღნიშნული კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ განაცხადს განიხილავს გამარტივებული პროცედურით, ისე, რომ არ შეფერხდეს რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობა. თუ რეზოლუციის რეჟიმის სწრაფად წარმართვისათვის აუცილებელია ამ მუხლით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის დაუყოვნებლივ გამოყენება, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი წილის შეძენის ტრანზაქციის შეფასების გარეშე განახორციელოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება და ეროვნული ბანკის მიერ შეფასების განხორციელებამდე შეზღუდოს აქციებთან დაკავშირებული ხმის უფლებები ან/და მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ხმის უფლებებს თავად ეროვნული ბანკი გამოიყენებს. აღნიშნული შეფასების შედეგების საფუძველზე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შემძენს მოსთხოვოს აქციების გასხვისება, თუ აღმოჩნდება, რომ შემძენი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

8. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების პროცესი გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად და არადისკრიმინაციულად უნდა წარიმართოს და ამ პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი გასხვისების ფასის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გაზრდა და ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა. ეს არ გამორიცხავს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, ერთი პირისთვის შეთავაზებით გაასხვისოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციები, აქტივები ან/და ვალდებულებები, თუ სხვაგვარად შეიძლება შეფერხდეს რეზოლუციის რეჟიმის ეფექტიანობა და საფრთხე შეექმნას რეზოლუციის მიზნების მიღწევას.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებისას შეიძლება გადავადდეს ან დაცული არ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები.

10. კომერციული ბანკის აქციები უნდა გასხვისდეს მისი აქციონერების წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[8]. დროებითი ბანკი

1. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების უწყვეტობის შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის შესახებ.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის უზრუნველსაყოფად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აფუძნებს დროებით ბანკს გადაცემული აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების შემდგომ გასხვისების მიზნით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია რეზოლუციის რეჟიმის დაწყებამდე დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, რომელიც რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შემდეგ, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემისთანავე იმოქმედებს, როგორც დროებითი ბანკი. შესაბამისმა უწყებებმა და მარეგისტრირებელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ დროებითი ბანკის დაფუძნების პროცესის დროულად დასასრულებლად საჭირო ყველა ზომა.

3. დროებითი ბანკისთვის გადაცემული ვალდებულებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიერ და სხვა წყაროებიდან გადაცემული აქტივების ჯამს.

4. თუ დროებითი ბანკისთვის გადაცემული რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი არ შეესაბამება მათი გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილ კრიტერიუმებს, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, აღნიშნული აქციები, აქტივები ან/და ვალდებულებები შეიძლება დაუბრუნდეს რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკს.

5. ეროვნული ბანკი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა, იღებს გადაწყვეტილებას დროებით ბანკზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ. ამ გადაწყვეტილებაში მიეთითება დროებითი ბანკისთვის ნებადართული საქმიანობები. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ბანკის ლიცენზირების წესი, მათ შორის, ლიცენზირების გამარტივებული პროცედურები, და იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც შეიძლება წარდგენილ იქნეს დროებით ბანკზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შემდეგ.

6. დროებითი ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ფინანსური სექტორის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, დროებითი ბანკი გაათავისუფლოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნის დაცვისგან მასზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემიდან არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში. დროებითი ბანკის სადამფუძნებლო დოკუმენტები, სტრატეგია და რისკის პროფილი, აგრეთვე დროებითი ბანკის ადმინისტრატორების ანაზღაურება და მოვალეობები თანხმდება ეროვნულ ბანკთან.

7. დროებითი ბანკის ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს. ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ შეიძლება დაინიშნოს დროებითი ბანკის ადმინისტრატორად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დროებითი ბანკის ადმინისტრატორს მისცეს მითითებები რეზოლუციის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

8. დროებითი ბანკი პროფესიული და კომერციული საფუძვლებით უნდა იმართებოდეს. დროებითი ბანკი მუდმივი ინსტრუმენტი არ არის და მისი აქციები, აქტივები ან/და ვალდებულებები შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა გასხვისდეს. ამ მიზნით დროებითმა ბანკმა ეროვნული ბანკის ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე უნდა შეიმუშაოს და შეასრულოს დროებითი ბანკის ბაზრიდან გასვლის გეგმა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია დროებითი ბანკის სხვა კომერციულ ბანკთან შერწყმა, დროებითი ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ გასხვისება, აგრეთვე დროებითი ბანკის რეკაპიტალიზაცია, მათ შორის, მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით.

9. ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით დროებით ბანკს გაუუქმდება საბანკო საქმიანობის ლიცენზია დროებითი ბანკის ბაზრიდან გასვლის გეგმის შესრულების ან ნარჩენი აქტივების ან/და ვალდებულებების სრულად ჩამოწერის შემთხვევაში.

10. დროებითი ბანკის ბაზრიდან გასვლის გეგმის შესრულების შედეგად მიღებულ თანხებს დროებითი ბანკის აქციონერები მიიღებენ.

11. დროებითი ბანკისთვის რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქტივების ან/და ვალდებულებების გადაცემისას გამოიყენება ამ კანონის 37[7] მუხლით დადგენილი წესი, გარდა იმავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

12. დროებით ბანკზე ვრცელდება კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, თუ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ამ კანონით ან ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

13. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ბანკის მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები, აგრეთვე დაადგინოს დროებითი ბანკის ბაზრიდან გასვლის გეგმის შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებული წესები და პირობები.

მუხლი 37[9]. კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის გასაზრდელად და მისი ჯანსაღი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიიღოს გადაწყვეტილება ამ კომერციული ბანკის მიერ ახალი აქციების გამოშვებისა და მათი რეალიზაციის შესახებ.

2. რეზოლუციის რეჟიმის სწრაფად დასასრულებლად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული ახალი აქციები შესთავაზოს ამ კომერციული ბანკის აქციონერებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ აქციონერებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს და მათ არ დაურღვევიათ ეროვნული ბანკის მოთხოვნები და მითითებები. თუ ეროვნული ბანკი რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციონერებს არ შესთავაზებს ამ კომერციული ბანკის მიერ გამოშვებულ ახალ აქციებს, მათ არ ექნებათ აღნიშნული აქციების უპირატესი შესყიდვის ან სხვაგვარად შესყიდვის უფლება.

3. რეზოლუციის იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციონერები და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების მფლობელები იღებენ პირველად ზარალს, ამ კომერციული ბანკის მიერ ახალი აქციების გამოშვებამდე ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს აღნიშნული კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების ჩამოწერა ან აქციებში კონვერტაცია ამ კანონის 37[4] მუხლის შესაბამისად.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს კომერციული ბანკის ახალი აქციების გამოშვებით რეკაპიტალიზაციის პირობები, აგრეთვე კაპიტალში მათი შენატანების განხორციელების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს. აღნიშნული შენატანები სრულად უნდა განაღდდეს. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ამ ვალდებულების შესრულების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[10]. კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტი გამოიყენოს:

ა) რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციისთვის;

ბ) დროებითი ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებისას მისი რეკაპიტალიზაციისთვის.

2. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტი გამოიყენება ამ კანონის 37[3] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე.

3. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებისას ამ ვალდებულებების ჩამოწერა ან კონვერტაცია ხორციელდება ლიკვიდაციისას დადგენილი მოთხოვნების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კრედიტორთა შესაბამისი რიგი ვალდებულებების სრულად ჩამოწერას ან კონვერტაციას არ ექვემდებარება, მათი ჩამოწერა ან კონვერტაცია უნდა განხორციელდეს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

4. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებამდე უნდა განხორციელდეს იმ ვალდებულებების ჩამოწერა ან კონვერტაცია, რომელთა სახელშეკრულებო პირობებით პირდაპირ არის გათვალისწინებული ვალდებულების ჩამოწერა ან კომერციული ბანკის ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაცია.

5. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ვალდებულებების მიმართ:

ა) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაზღვეული დეპოზიტების მიმართ;

ბ) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შენატანების მიმართ;

გ) საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისადმი არსებული ვალდებულებების მიმართ;

დ) ნებისმიერი ვალდებულების მიმართ, რომელიც კლიენტის აქტივების ფლობის შედეგად წარმოიშობა;

ე) სანივთო უფლებით უზრუნველყოფილი ვალდებულებების (მათ შორის, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უზრუნველყოფილი, პროგრამის კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების) მიმართ, მათ უზრუნველსაყოფად გამოყენებული შესაბამისი აქტივების ღირებულების ფარგლებში;

ვ) კომერციული ბანკის თანამშრომლებისადმი არსებული ვალდებულებების მიმართ, გარდა კომერციული ბანკის ადმინისტრატორების არასახელფასო ანაზღაურებისა;

ზ) საგადახდო, საკლირინგო და ანგარიშსწორების სისტემებისადმი არსებული ვალდებულებების მიმართ – 7 დღეზე ნაკლები მოქმედების ვადით;

თ) სხვა კომერციული ბანკებისადმი (გარდა იმავე საბანკო ჯგუფში შემავალი კომერციული ბანკებისა) არსებული ვალდებულებების მიმართ – 7 დღეზე ნაკლები მოქმედების ვადით;

ი) კომერციული ბანკის კრედიტორებისადმი არსებული იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კომერციული ბანკისთვის ისეთი პროდუქტის ან მომსახურების (მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომუნალური, საიჯარო და სხვა ტექნიკური მომსახურებების) მიწოდებით, რომელსაც კომერციული ბანკის ყოველდღიური საქმიანობისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების გარდა, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის მოქმედების ფარგლებიდან ნაწილობრივ ან სრულად გამორიცხოს სხვა ვალდებულებები, თუ, მისი შეფასებით, არსებობს ამ კანონის 37^{11} მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე პირობა.

7. დერივატივიდან წარმოშობილი ვალდებულებების ჩამოწერა ან კონვერტაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მათი ურთიერთგაქვითვის შემდეგ.

8. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ კომერციული ბანკის აქციონერების ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტების მფლობელების მიმართ განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) გააუქმოს არსებული აქციები ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტები ან გადასცეს ისინი იმ კრედიტორებს, რომელთა მიმართაც გამოყენებულ იქნა ამ მუხლით გათვალისწინებული ინსტრუმენტი;

ბ) ამ კომერციული ბანკის აქციონერების წილის მაქსიმალურად შესამცირებლად კომერციული ბანკის დადებითი სააქციო კაპიტალის შემთხვევაში განახორციელოს საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების კომერციული ბანკის ჩვეულებრივ აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაცია.

9. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქციების მიმართ, თუ ვალდებულებების აქციებში კონვერტაცია განხორციელდა რეზოლუციის რეჟიმის შემოღებამდე ან ამ კანონის 37^{4} მუხლის საფუძველზე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერის ან აღნიშნული ინსტრუმენტების აქციებში კონვერტაციის შემდეგ.

10. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოსაყენებლად ეროვნული ბანკი განსაზღვრავს იმ საზედამხედველო კაპიტალის ოდენობას, რომელიც საჭიროა ამ კომერციული ბანკის პირველადი ძირითადი კაპიტალის დადგენილი კოეფიციენტის დასაცავად, ხოლო დროებითი ბანკის შემთხვევაში – კაპიტალის დადგენილი კოეფიციენტის დასაცავად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა და კომერციული ბანკის/დროებითი ბანკის მიმართ ნდობის აღდგენისა და კომერციული ბანკის/დროებითი ბანკის სალიცენზიო მოთხოვნებთან მინიმუმ მომდევნო 1 წლის განმავლობაში შესაბამისობისათვის აუცილებელი რესურსები.

11. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის ფარგლებში ეროვნული ბანკი:

ა) ლიკვიდაციისას დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით ნულამდე შეამცირებს აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების ნომინალურ ღირებულებას, იმ ზღვრამდე, როდესაც ბანკის სააქციო კაპიტალი ნულს მიაღწევს. ვალდებულებები მაქსიმალური ოდენობით უნდა შემცირდეს;

ბ) განახორციელებს ამ კომერციული ბანკის ვალდებულებების კომერციული ბანკის ჩვეულებრივ აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაციას ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის მისაღწევად.

12. თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობა მიღწეული ვერ იქნა, რეზოლუციის დასაფინანსებლად შეიძლება განხორციელდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული დროებითი სახელმწიფო დაფინანსება. დროებითი სახელმწიფო დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი ან ორივე შემდეგი ფორმით:

ა) რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის ნულამდე დაყვანის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სარეზოლუციო ფონდის საშუალებით აანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული ინსტრუმენტის გამოყენებით ვერ ანაზღაურდა;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიძენს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციებს ან საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტებს.

13. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ და

მისი შესრულება სავალდებულოა კომერციული ბანკისთვის, დროებითი ბანკისთვის და კომერციული ბანკისა და დროებითი ბანკის აქციონერებისა და კრედიტორებისთვის. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ჩამოწერილი ვალდებულება ან ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ჯერ არ დარიცხულა, უნდა გაუქმდეს და აღარ უნდა აღდგეს. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულების ნაწილობრივ ჩამოწერის შემთხვევაში ის ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ვალდებულებას, აგრძელებს მოქმედებას დარჩენილ ნაწილში. აღნიშნული ხელშეკრულების ნაწილი ექვემდებარება ცვლილებას ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად.

14. თუ კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის ან ბენეფიციარი მესაკუთრის პირდაპირი/არაპირდაპირი მონაწილეობა კომერციული ბანკის კაპიტალში 10, 25 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ეროვნული ბანკი ამ კანონის 8^1 მუხლით დადგენილი წესით მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ განაცხადს განიხილავს დაჩქარებულად.

15. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს სამოქმედო გეგმის შედგენა და განხორციელება, რომელიც მოიცავს კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გრძელვადიან პერიოდში გაუმჯობესების ღონისძიებებს. აღნიშნული გეგმა უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან. კომერციული ბანკი ვალდებულია რეგულარულად აწარმოოს შესაბამისი ანგარიშგება ეროვნულ ბანკთან სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.

16. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებასთან დაკავშირებული წესები და პირობები, მათ შორის, დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის მისაღწევად აუცილებელი ფულადი სახსრების გამოთვლის, შეფასების, კონვერტაციის განაკვეთების განსაზღვრის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, შეთანხმებისა და განხორციელების საკითხები.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

მუხლი 37^{11}. რეზოლუციის სამართლებრივი გარანტიები

1. სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებისას ეროვნული ბანკი იყენებს ლიკვიდაციისას დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობას, ამ კანონის 37^{10} მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არ დაიცვას ეს პრინციპი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელებისას ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ერთი და იმავე რიგის კრედიტორთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვა, ამ კანონის 37^{10} მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებებისთვის დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არ დაიცვას ეს პრინციპი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. ამ კანონის 37^7 ან 37^8 მუხლით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებისას და ამავე კანონის 37^{10} მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არ დაიცვას ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პრინციპები, თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

ა) ეროვნული ბანკის მცდელობის მიუხედავად, სარეზოლუციო ინსტრუმენტის გონივრულ ვადაში გამოყენება შეუძლებელია;

ბ) ეს აუცილებელი და პროპორციულია რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციებისა და ძირითადი საქმიანობის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ კომერციული ბანკის ძირითადი ოპერაციების, მომსახურებებისა და ტრანზაქციების უწყვეტობა;

გ) ეს აუცილებელი და პროპორციულია ფინანსური სირთულეებისა და საფრთხეების ფინანსური სექტორის სხვა მონაწილეებზე გავრცელების რისკების შესამცირებლად;

დ) სხვა კრედიტორები იმაზე მეტად იზარალებენ, ვიდრე ისინი იზარალებდნენ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული პრინციპების დაცვის შემთხვევაში.

4. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში. ეს პრინციპი დაცული უნდა იქნეს რეზოლუციის საბოლოო შედეგით. თუ რეზოლუციის შემდეგ განხორციელებული შეფასების შედეგად დადასტურდება, რომ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი აქციონერები ან/და კრედიტორები იმაზე ნაკლებად იზარალებდნენ, ვიდრე მათ იზარალეს ამ კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღებით, ისინი უფლებამოსილი არიან ფულადი კომპენსაციის მიღება მოითხოვონ. ფულადი კომპენსაცია გადახდილი უნდა იქნეს სარეზოლუციო ფონდიდან.

5. აქციონერების ან/და კრედიტორების კომპენსაციის მიღების უფლებისა და მისი ოდენობის შეფასების მიზნით, სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების შემდგომ რეზოლუციის რეჟიმის დასრულებამდე შეფასება ხორციელდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. აღნიშნული შეფასება განსხვავდება ამ კანონის

37^3 მუხლით გათვალისწინებული შეფასებისგან. ეროვნული ბანკი ადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების წესს, პროცედურებსა და მეთოდოლოგიას, მათ შორის, დამოუკიდებელი შემფასებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამ შეფასების ფარგლებში გამორიცხული უნდა იქნეს როგორც სახელმწიფოს, ისე ეროვნული ბანკის მიერ ყველა სახის არსებული და პოტენციური ფინანსური დახმარება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომერციულ ბანკს შეეძლო მიეღო სესხი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად).

6. ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში დაუშვებელია ვალდებულებისა და მისი უზრუნველყოფის (მათ შორის, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უზრუნველყოფილი, პროგრამის კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებებისა და შესაბამისი უზრუნველყოფის აქტივების) განცალკევება. განსაკუთრებულ შემთხვევაში რეზოლუციის ეფექტურად განსახორციელებლად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გააცალკევოს ვალდებულება და მისი უზრუნველყოფა იმ პირობით, რომ უზრუნველყოფა მსგავსი სახისა და ღირებულების უზრუნველყოფით ჩანაცვლდება ან/და გადახდილი იქნება ფინანსური კომპენსაცია. ფინანსური გირავნობის ხელშეკრულება და ურთიერთგაქვითვის შეთანხმება, რომლებსაც ერთი და იგივე კონტრაჰენტი ჰყავს და ურთიერთგაქვითვის ერთი და იმავე ვალდებულების საგანია, არ შეიძლება განცალკევდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია რეზოლუციის მიზნების მისაღწევად.

7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეზღუდოს ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების ან ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ადრეული შეწყვეტის უფლებამოსილება, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი პირობების დაცვა:

ა) უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულების/შეთანხმების პირობების თანახმად, მხოლოდ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების ან/და სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების შედეგად;

ბ) შეზღუდვა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღით;

გ) ამ ხელშეკრულების/შეთანხმების შემძენი მხარისთვის გადაცემისას აღნიშნული ხელშეკრულებიდან/შეთანხმებიდან გამომდინარე, მისი ადრეული შეწყვეტის უფლებამოსილება აგრძელებს მოქმედებას შემძენი მხარის მიმართ, მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

დ) კონტრაჰენტს უფლება აქვს, განახორციელოს ადრეული შეწყვეტის უფლებამოსილება ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდვის ამოწურვისთანავე ან იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი შეატყობინებს მას, რომ აღნიშნული ხელშეკრულების/შეთანხმების მესამე მხარისთვის გადაცემა არ განხორციელდება.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

მუხლი 37^{12}. კომერციული ბანკის ლიკვიდაცია

1. კომერციული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება მისი ლიკვიდაცია, რომლის მიზანია ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაზღვეული დეპოზიტების დაცვა და კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. კომერციული ბანკის ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია ლიკვიდატორად ამ კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირის დანიშვნა. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება მის მიმართ მიმდინარე იძულებითი აღსრულება.

2. თუ ლიკვიდირებული კომერციული ბანკი საგადახდო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი იყო, კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ ფუნქციების შესრულების დაწყებამდე საგადახდო სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, საგადახდო სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნიდან 3 თვის ვადაში შეადგინოს კომერციული ბანკის აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი გადასცეს ეროვნულ ბანკს. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით.

4. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია კომერციული ბანკის აქტივები საჯარო აუქციონზე გაყიდოს ან ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით შეარჩიოს მათი რეალიზაციის სხვა ფორმა, აგრეთვე ამ აქტივების მოთხოვნის უფლება გადასცეს კომერციული ბანკის კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, ხოლო სესხების ან სხვა საფინანსო აქტივების მოთხოვნის უფლება გადასცეს სხვა კომერციულ ბანკს და ორგანიზება გაუწიოს ამ კომერციული ბანკისთვის ვალდებულებების გადაცემას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისას კომერციული ბანკის კრედიტორთა თანხმობა საჭირო არ არის.

6. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს:

ა) კომერციული ბანკის თანამშრომლის დაქირავების შესახებ გარიგება;

ბ) იმ მომსახურების შესახებ კონტრაქტი, რომლის განხორციელებაშიც კომერციული ბანკი მონაწილეობდა;

გ) კომერციული ბანკის, როგორც უმრავი ქონების მოიჯარის, ნებისმიერი ვალდებულება, თუ მეიჯარეს

(მეიჯარე 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ კომერციული ბანკი აპირებს, გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა იმ თანხისა, რომელიც შეთანხმების გაუქმების თარიღისთვის დაირიცხა, და არ მოითხოვს მისი გაუქმების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებას;

დ) კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია და ის იმავე პირობებით გადაიტანოს სხვა კომერციულ ბანკში ან მიკრობანკში. მისი გადატანისთვის საბანკო გარანტიის ბენეფიციარისა და პრინციპალის თანხმობა საჭირო არ არის. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია საბანკო გარანტიის ბენეფიციარსა და პრინციპალს შეატყობინოს აღნიშნული საბანკო გარანტიის სხვა კომერციულ ბანკში ან მიკრობანკში გადატანის შესახებ.

7. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია, „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ქმედების/გარიგების და „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროგრამასთან დაკავშირებული ქმედების/გარიგების გარდა, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს ლიკვიდატორის დანიშვნის თარიღამდე 1 წლის განმავლობაში კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ განხორციელებული ქმედება ან დადებული გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ ამ ქმედების/გარიგების შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე ქონებრივი სარგებელი მიიღო ან რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით ისარგებლა, რამაც კომერციულ ბანკს ან მის კრედიტორებს ზიანი მიაყენა.

8. კომერციული ბანკის ლიკვიდატორმა:

ა) უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა რწმუნებული პირის ყველა ფუნქციის შესაწყვეტად, რომლებსაც დაწესებულება ასრულებდა, დაწესებულების, როგორც რწმუნებული პირის, კუთვნილი ყველა აქტივი და საკუთრება დაუბრუნოს მათ მესაკუთრეს და განახორციელოს ყველა ანგარიშსწორება რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით;

ბ) მოთხოვნათა ხასიათისა და თანხის შესახებ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს კომერციული ბანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად ყველა მეანაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს, კლიენტებს, რომლებიც კომერციული ბანკის სეიფებში ინახავენ ფასეულობას, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, რომელსაც დაწესებულება განაგებს. ამ შეტყობინებაში აღინიშნება, რომ კლიენტებს შეუძლიათ თავიანთი ფასეულობის მიღება და რომ კომერციული ბანკის ლიკვიდატორისთვის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში;

გ) კომერციული ბანკის მსესხებლებსა და სხვა დებიტორებს უნდა მოსთხოვოს, კომერციული ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებები კომერციული ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში დაფარონ. კომერციული ბანკის აქტივების მაქსიმალურად ამოსაღებად კომერციული ბანკის ლიკვიდატორმა ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით უნდა მიაღწიოს იმ მსესხებლებისა და სხვა დებიტორების დავალიანებების რესტრუქტურიზაციას (მათ შორის, პირგასამტეხლოებისა და ჯარიმების პატიებას), რომელთაც არა აქვთ დავალიანებების კომერციული ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში სრულად დასაფარავად საკმარისი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები.

9. კომერციული ბანკის ტერიტორიაზე შენახული ქონება, რომელიც გამოთხოვილი არ არის ამონაწერში მითითებულ ვადაში, მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე კომერციულ ბანკს ერიცხება, მოუკითხავ რესურსად ითვლება და მესაკუთრის გამოსავლენად ეროვნული ბანკის მფლობელობაში გადადის. მოუკითხავი ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე ირიცხება.

10. კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას ფინანსური გირავნობის მოგირავნეს აქვს ფინანსური გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება, აგრეთვე „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროგრამის კრედიტორებს აქვთ უზრუნველყოფის აქტივებიდან იმავე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას სხვა მოთხოვნები შემდეგი თანამიმდევრობით უნდა დაკმაყოფილდეს:

ა) ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ეროვნული ბანკი, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული თანხები;

გ) სარეზოლუციო ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა დაფინანსების (გარდა სარეზოლუციო ფონდის საშუალებით განხორციელებული დროებითი სახელმწიფო დაფინანსებისა) ფარგლებში. ამასთანავე, კომერციული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები დაკმაყოფილდება ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რიგითობის დაცვით;

დ) დაზღვეული დეპოზიტები „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებში ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მოთხოვნები, მათ შორის, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;

ე) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები

არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;

ვ) იურიდიული პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;

ზ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტისა;

თ) ფიზიკური პირების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც გადახდილი არ არის ამ პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

ი) ფიზიკური პირების ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც გადახდილი არ არის ამ პუნქტის „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

კ) იურიდიული პირების ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც გადახდილი არ არის ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ლ) იურიდიული პირების ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული და სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაბამისი თანხები, რომლებიც გადახდილი არ არის ამ პუნქტის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

მ) კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პერიოდში სხვა კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები;

ნ) საბიუჯეტო ვალდებულებები და დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

ო) კომერციული ბანკის მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები (მათ შორის, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამის კრედიტორების არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები), გარდა ამ პუნქტის „პ“–„უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

პ) კომერციული ბანკის სასესხო ვალდებულება კომერციული ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ, გარდა ამ პუნქტის „ჟ“–„უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

ჟ) კომერციული ბანკის სუბორდინირებული ვალი, რომელიც საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტი არ არის;

რ) კომერციული ბანკის ისეთი ვალდებულებები, რომელთა ჩამოწერა ან საზედამხედველო კაპიტალში კონვერტაცია განსაზღვრულია ხელშეკრულებით, გარდა ამ პუნქტის „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

ს) კომერციული ბანკის მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები;

ტ) კომერციული ბანკის დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები;

უ) კომერციული ბანკის სხვა ვალდებულებები კომერციული ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ.

11. თუ არსებული თანხა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად დასაფარავად საკმარისი არ არის, ყველა სათანადო მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

12. კრედიტორთა ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება კრედიტორთა წინა რიგის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

13. კომერციული ბანკის მეანაბრის მიერ კუთვნილ ფულად სახსრებზე მოთხოვნის კომერციული ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას ეს ფულადი სახსრები მესაკუთრის გამოსავლენად ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე გადაირიცხება.

14. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად დასასრულებლად კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით კომერციულ ბანკში არსებული ის ანგარიშები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებები, ლიკვიდაციის პროცესში მყოფ კომერციულ ბანკში აღნიშნული სამართლებრივი შეზღუდვების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებული რიგითობის დაცვით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით, უცვლელად გადაიტანოს სხვა კომერციულ ბანკში, მიკრობანკში ან/და ეროვნულ ბანკში.

15. იმ აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ამ კომერციული ბანკის აქტივი იყო, იგი ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული კომერციული ბანკის აქტივად და მისი განკარგვის უფლებას ეროვნული ბანკი იძენს. თუ ლიკვიდირებული კომერციული ბანკის ამოღებული აქტივი ფულადი სახსრებია, ისინი უნდა გადაირიცხოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ლიკვიდირებული ბანკების მოუკითხავი თანხების ანგარიშზე და განაწილდეს ლიკვიდატორის მიერ საბოლოოდ წარმოდგენილი ვალდებულებების დაზუსტებული რიგითობის დაცვით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. კომერციული ბანკის არაფულადი მატერიალური აქტივის ამოღების შემთხვევაში მის განსაკარგავად ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება ამოღებული არაფულადი მატერიალური აქტივის ლიკვიდირებული კომერციული ბანკის ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად განკარგვის წესი.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5655 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2603 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 37[13]. ურთიერთგაქვითვა და საბოლოო ურთიერთგაქვითვა

„ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მხარეთა შორის დადებული ურთიერთგაქვითვის შეთანხმების საფუძველზე განხორციელებულ ურთიერთგაქვითვას ან საბოლოო ურთიერთგაქვითვას და მის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს სადავოდ ვერ გახდიან მესამე პირები, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოები, კომერციული ბანკის ლიკვიდატორი, მეურვე, გაკოტრების მმართველი/რეაბილიტაციის მმართველი, დროებითი ადმინისტრატორი, კომერციული ბანკის სპეციალური მმართველი, მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი ნებისმიერი სხვა პირი.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5682 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37[14]. რეზოლუციის/ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი, იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტი კომერციული ბანკი

თუ რეზოლუციის/ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკი იმავდროულად არის „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტი ან რეფინანსირების ბანკის მოვალე, ამ კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის/ლიკვიდაციის პროცესი წარიმართება იმავე კანონით დადგენილი სპეციალური დებულებების გათვალისწინებით.
საქართველოს 2022 წლის 29 ნოემბრის კანონი №2115 – ვებგვერდი, 16.12.2022წ.

თავი VIII
გარდამავალი ხასიათის დებულებები

მუხლი 38. (ამოღებულია)
საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5909 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.29
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1677 - სსმ I, №29 12.10.2009 წ., მუხ.160

მუხლი 38[1]. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში

პირი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, თუ:

ა) იგი არ არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი;

ბ) იგი ნასამართლევი არ არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

გ) მას აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;

დ) იგი ამავე დროს არ არის სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ კომერციული ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება ეს კომერციული ბანკი.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3392 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 39. მოთხოვნები კომერციული ბანკის შექმნილი ან შეძენილი შვილობილი საწარმოს მიმართ

იმ კომერციულმა ბანკმა, რომელმაც ამ კანონის 10[1] მუხლის ამოქმედებამდე შექმნა ან შეიძინა შვილობილი საწარმო, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ამ კანონის 10[1] მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2830 - სსმ I, №19 13.04.2010 წ., მუხ.104

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,

1996 წლის 23 თებერვალი.
№121-IIს